რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 20 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადებისათვის: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: „Тифлисъ почтов. ящ. 193. Редакція „Эртоба"". ფოსტით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 150 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 150

გულ დათუთქულნი ცოლ-შვილი გიტო ძე ნინიძე შვილებით: ვლადიმერი, თამარა, ბაბორა, ანატოლი და შალვა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალ. ბათუმში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მეუღლე და დანარჩენის საყვარელი დედა

ივლიტა აქსენტი ასათიანის ასული ნინიძისა.

მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ასკანაში (გურია). (3—3)

გულ დაწყვეტილი მამა ვალოდია და დედა ნინა ურუშაძენი, დეიდა ელენე, მეუღლე გერასიმე წულაძისა და შვილი თამარათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 19 სექტემბერს, დილის 11 საათზე უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი პატარა

დონქუშა (ერემია)

დაკრძალვა მოხდება დღეს 20 სექტემბერს ნაშუადღევის 2 საათზე წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ [illegible] მოლოკნის ქ. № 9

მწუხარებით გულ მოკლულნი მასწ. იაკობ ბიჭიას ძე, დარეჯან იაკობის ასული, მამამთილი ბიჭია, დედამთილი მარიამ, შვილები: ლიდა, ავლიტა, ფილიპე მშვენიერაძენი, და დათუჯან ალავიძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობართ რომ ორშაბათს, 11 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორესი დაუვიწყარი დედიკო, მესამეს საყვარელი რძალი და უკანასკნელის შვილი

სონა იოსების ასული მშვენიერაძისა.

მეუღლე დარიკო, შვილები: ლევან, ნიკო და ია, ძმები სოლომონ და დავით, დები: თებრონე და მაშიკო, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ისიდორე ანდრიას ძე სტვილიას

სულის მოსახსენებლად დანიშნულია ხუთშაბათს, 21 სექტემბერს წმ. ნინოს ეკლესიაზე შუადღის 3 საათზე.

პური
თფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ.

22 სექტემბერს პური გაიცემა პურის წიგნაკის ტალონებით, რომელზედაც აწერია ,,22 ივლისი'', 23 სექტემბერს რომელსაც ,,23 ივლისი'' აწერია და ისე შემდეგში.

პურის წიგნაკის ტალონები 20 და 21 ივლისის გაუქმებულია.

3—3 ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

დაიკარგა

ერთ წლიანი პასპორტი, მიცემული ბეჟანის სოფლის სამმართველოდან და მოწმობები (ენქვა და პროპუსკი) ბათუმის ჟანდარმ. ნაჩალნიკის მიერ მიცემული ალექსი გლახუნის ძე ნაცვლაძის სახელზე. მპოვნელს ვსთხოვ მაცნობოს თფილისში ნიკოლაევის ქუჩაზე № 86 რისთვისაც მიიღებს 50 მ.ნ. ჯილდოს. ალექსი ნაცვლაძე. 1—1

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ბავშვთა (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელი

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

ბაქო

დ. ი. ქორდანია

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურად ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. მეფისაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 5—8 საათამდე, [illegible] პირდაპირ, რაზოვსკის ქუჩა, № 19.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის, გუნიბის ქ. № 41.

ექიმი პ. ი. მეარხალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს იღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქუთაისის ქუჩა, № 4, [illegible]. ტელეფ. 15—00.

ქუთაისი

ექიმი **ვალერიან ღორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე, პუშკინის ქუჩა, ვიტგენშტეინის სახლში.

ქ. ქუთაისში.

ექიმი მ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

აჯანყებები პროვინციაში

სასურსათო საკითხის სიმწვავემ აქა იქ უკვე დაბადა ექსცესები. უპურობამ, შიმშილმა, ზოგჯერ გამოიყვანა ხალხი მოთმინებიდან და ხელში იარაღი აიღებინა.

ამ ნიადაგზე მოხდა ამ უკანასკნელ დღეებში მთელი რიგი აჯანყებები სხვადასხვა გუბერნიებში.

მაგრამ ყველა ამათგან დანარჩენებზე უფრო საყურადღებოა ტაშკენტში მომხდარი ამბები.

პირველ საპურო სანოვაგის უქონლობით გამწარებული ჯარისკაცთა მასსა აწყობს მიტინგებს და მოითხოვს დაკმაყოფილებას.

დეპეშა აღნიშნავს, რომ მასსაში დიდი გასავალი ჰქონია ბოლშევიკურ ლოზუნგებს. შემდეგ არჩეულ იქნა რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც დაევალა მთელი რიგი ზომების მიღება სანოვაგის და სხვა საქონლის აღმოსაჩენათ; მისი გატანის აკრძალვა მაზრაში, მასსიური ჩხრეკის მოხდენა ქალაქში და სხვ.

მაგრამ ეს არ მოეწონა ადგილობრივ სამხედრო მთავრობას და თვით სალდათთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს, რომელთაც ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა და გადაყენება მოსთხოვა.

აქედან წარმოიშვა კონფლიქტი და ეკონომიურ ნიადაგზე დაწყებული მოძრაობა ერთბაშად პოლიტიკურ სფეროში შევიდა. არჩეულ იქნა ახალი აღმასრულებელი კომიტეტი ჯარისკაცთა საბჭოსი. ძველმა წევრებმა არ მოისურვეს გადადგომა, პირიქით, ჯარის სარდლობასთან ერთად რევოლუციური კომიტეტის წევრები დაატუსაღებინეს იუნკრებს.

ამან გამოიწვია შესაფერი ნაბიჯები ჯარისკაცთა მასსისა და მათ ახალ არჩეულ აღმასრულებელ ორგანოსაგან. უკანასკნელმა გადააყენა ყველა უფროსები ჯარის, დანიშნა თავისი მოხელეები და ამ რიგათ ქალაქში თავისი დიქტატურა გამოაცხადა.

ერთი შეხედვით იქ მოძრაობას ხაზინარ ავანტიურის გავლენა ჩანს და ამ ავანტიურის ნაყოფთან გვაქვს საქმე. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ საქმე ამ ავანტიურაში არ არის. სალდათთა მისწრაფება მიმართული იყო, როგორც ჩანს მთელი დეპეშიდან, სასურსათო საკითხის მოწესრიგებისა და არა თავის დიქტატურის გამოცხადებისაკენ. მაგრამ წინააღმდეგობამ დაბადა ბრძოლა, ამ ბრძოლაში გამარჯვებულმა კი თავისი დიქტატურა გამოაცხადა. ამ მხრით ბოლშევიზმმა, ასე ვთქვათ, თავის ქადაგებით მისცა ფორმა ამ სტიქიურ მოძრაობას.

არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ფორმა ყოველგან და ყოველთვის აღწევს დანიშნულ მიზანს. პირიქით, ხშირათ უფრო აფუჭებს და არღვევს საქმეს. მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია.

ჩვენ გვინდა აქ ხაზ-გასმით აღვნიშნოთ, რომ მოძრაობას იწვევს, ქმნის და აძლიერებს ეკონომიური ცხოვრების აწეწ-დაწეწა და არა ესა თუ ის მიზნის შეუფერებელი აგიტაცია.

მთავრობამ ამ აჯანყებულ, პურის მწყურვალე მასსის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გაგზავნა ჯარი და სასტიკი ბრძანება გაატანა—დაიმორჩილონ აჯანყებულნი, თუნდ იარაღით ხელში.

რას ნიშნავს ეს? პურის მაგიერ ტყვიის მიცემას და განა ამით შეიძლება მიზნის მიღწევა? არა და ათასჯერ არა. დემოკრატიულ მთავრობას ტყვიის ნაცვლად უნდა ჰქონდეს უნარი და საშუალება თვით ფესვები ამოგლიჯოს ასეთ მდგომარეობას, ესე იგი, მან გამომწვევ მიზეზებს გაუწიოს ანგარიში და ხალხის არსებითი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

ვინ არის ამ ამბოხებაში დამნაშავე, ახალი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, თუ ძველი და თვით ჯარის უფროსები, ძნელი სათქმელია. ფაქტი ერთია, რომ ამ უკანასკნელთ არაფერი არ გაუკეთებიათ მასსის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. კორნილოვთან,—აშკარა მოღალატესთან, თუ შეიძლება მოლაპარაკება, რატომ არ შეიძლება ეს მასსასთან, ხალხთან, რომელიც პირველ ყოვლისა პურს თხოულობს.

განა იგი დემოკრატიას ემუქრება?

სრულიადაც არა, იგი მხოლოდ სტიქიურათ სდგამს ასეთ ნაბიჯებს, რომელიც საბოლოოთ ხელის შემშლელია დემოკრატიისთვის, მაგრამ თვით მასსა სჩადის ამას სრული დარწმუნებით, რომ დემოკრატიას ემსახურება.

ცხადია, მათთან სულ სხვა ენით ლაპარაკია საჭირო, ვინემ კორნილოვებთან.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს დემოკრატიული მასსა, ერთგულია რევოლუციის, რაიც კორნილოვის აჯანყების დროს აშკარათ გამოჩნდა.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: ამა თუ იმ ქალაქის დემოკრატიის ასეთი აჯანყებები, ეჭვი არაა, ასუსტებს რევოლუციურ რაზმებს, განხეთქილება და დაქუცმაცება შეაქვს მასში, მაგრამ ამათი „ცეცხლითა და მახვილით" დამორჩილება გამოიწვევს კიდევ მეტ სისუსტეს და განხეთქილებას დემოკრატიულ რაზმებში. ეს კი რეაქციის წისქვილზე წყლის მიშვება იქნება.

ამიტომ, თუმცა მთავრობას აქვს უფლება მორჩილება მოითხოვოს, მაგრამ იგი მოვალეა ხალხის ხმას, ხალხის ჩივილს უფრო სერიოზულად მოეპყრას.

ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ასეთ აჯანყებების, მაგრამ კიდევ უფრო წინააღმდეგნი ვართ მისი იარაღით ჩაქრობის, რადგან გვწამს სიტყვიერი მოლაპარაკებით და მიზეზების წინააღმდეგ ზომების მიღებით შეიძლება დემოკრატიის კვლავ გაერთიანება.

საყურადღებო ნაბიჯი.

18 ამ თვეს თფილისის ქალაქის საბჭომ ერთი საყურადღებო დადგენილება დამტკიცა. ესაა სპეციალური საკონტროლო კომისიის დაარსება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ლიკვიდაციის საკითხის გასარკვევათ.

საქმე იმაშია, რომ სპეკულიანტური, თუ მუშათა მოთხოვნილებებთან საბრძოლველათ, ვაჭარ მრეწველნი ხშირად ხურავენ წარმოებას, თუ სავაჭროს და მუშებს ქუჩაში ისტუმრებენ. საქონელი ძვირდება, მისი შოვნა გასაჭირდება, ხოლო სავაჭროების დახურვას შედეგად მოსდევს მისი კიდევ უფრო გაძვირება და აბსოლუტური ნაკლებობა. აქედან იზრდება და ძლიერდება მასსის უკმაყოფილება, რითაც ნიადაგი ეძლევა ყოველ გვარ ექსცესებს.

ამრიგად, ეკონომიური საკითხი, ეკონომიური ბრძოლა კაპიტალისა და შრომის შორის, ბრძოლა მწარმოებლისა და მომხმარებელის—იძლევა პოლიტიკურ ფაქტორათ, იღებს ფართოთ საზოგადოებრივ ხასიათს და მოითხოვს საქმეში საზოგადოებრივ ორგანოების მიერ ენერგიულ ჩარევას.

თავისთავად ცხადია, ვისაც რომ არ ეწყოს, თვითმართველობა ვალდებულია ეკონომიური ცხოვრების ნორმალურ მსვლელობაზე იზრუნოს და მუშათა მასსის სამართლიან მოთხოვნილებებს ანგარიში გაუწიოს, მათ ეკონომიურ კეთილდღეობაზე იზრუნოს.

მაგრამ დღეს განსაკუთრებულ პირობების გამო ეს მოვალეობა იმავე დროს რევოლუციონურ მოვალეობათ იქცევა და რევოლუციურ ზომების მიღებას მოითხოვს.

ჩვეულებრივ დროს შესაძლებელია ეკონომიურ ბრძოლის სფეროში თვითმართველობა მოსამართლის და მომრიგებლის როლი ეკისრონ კონფლიქტების დროს.

დღეს კი იგი ვალდებულია, როგორც დარაჯი რევოლუციის და დემოკრატიის მიერ მოპოვებულ თავისუფლების—ეკონომიურ ცხოვრებაში არევ-დარევის შემთხვევაში ყოველ ფაქტს ენერგიული ზომებით უპასუხოს.

ცხადია, ასეთი ზომები და საშუალებები დროებითია, როგორც დროებითია თვით მისი წარმომშობი საჭიროებანი, ამიტომ იგი მუდმივ კანონის ფარგლებს ვერ დაემყარება.

აქ უნდა მოქმედებდეს კანონი მიზანშეწონილობის, ზომების გამოსადეგობის იმ შედეგის მიღწევაში, რომლისათვისაც იგი დანიშნულია.

მიღებული დებულებით ქ. თვითმართველობას უფლება ეძლევა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა ლიკვიდაციის გამოცხადების დროს განიხილოს, რამდენათ იგი ეკონომიური აუცილებლობით არის გამოწვეული.

თუ მართლა წარმოებას, ან სავაჭროს მეტი არსებობა არ შეუძლია, საკონტროლო კომისიამ მხოლოდ ქუჩაში გასტუმრებულ მუშათა მდგომარეობაზე უნდა იზრუნოს.

ხოლო თუ დახურვა შედეგია ბოროტ-განზრახვის და წარმოებას შეუძლია არსებობა, კომისიას შეუძლია მუშაობა მოსთხოვოს, თუნდ ამისთვის რეკვიზიციაც იქნეს საჭირო მთელ წარმოების. თავისთავად ცხადია, რეკვიზიცია დროებითი ზომაა რევოლუციით გამოწვეული, რაც ყოველი ზედმეტი გამოხმაურებული კერძო—რეაქციონერთა ბანაკს უხარებს გულს. და მცხოვრებთა საკეთილდღეოთ, მუშათა კლასის ზედმეტ გაჭირვებისაგან დასახსნელათ რევოლუციის და თავისუფლების ინტერესების გულისთვის—უფლების მიცემა თვითმართველობისთვის აუცილებელია, და იგი მხოლოდ სიხარულს და თანაგრძნობას გამოიწვევს ყველა ჭეშმარიტ დემოკრატისა და რევოლუციონერის გულში.

პრესა.

საეკლესიო კრებას უმთავრესათ ნაციონალ-დემოკრატების გაზეთი გამოეხმაურა და თავის პირველ წერილშივე ვასილ წერეთლის პირით აცხადებს:

„ჯერ ერთი, ეს კრება ეროვნულ სახელმწიფოებრივ იდეის ნაწილობრივი განხორციელებაა... ავტოკეფალური კრება პოლიტიკური აქტია, ასე უყურებენ მას რუსეთში და ასე შეხედავენ ევროპაში"..

ამით გაზეთი სავსებით ამოწმებს ჩვენ აზრს, რომ მომხდარი ცვლილება საეკლესიო სფეროში არის აქტი არა მარტო სახელმწიფოებრივი, არა სინდისის განთავისუფლებისაკენ მიმართული, არამედ პოლიტიკური: ქართულ ეროვნულ პარტიების გამოჩენილი წევრები და ლიდერები იღებენ თვით კრებაში მონაწილეობას და მათ ხელი შეუწყვეს სინდისის საკითხისათვის კლერიკალური სახის მიცემას. ისინი ამით კიდეც ამაყობენ და ეს მთელი ერის, ის მთელი ქართველი ხალხის დიდ შენაძენათ მიაჩნიათ. „ქართველი ერის ნებისყოფა ამცნო ქვეყანას კრებამაო", გვეუბნება რ. ინგილო „საქართველოს" ფურცლებზე.

ჩვენ კი გვგონია, რომ ამ კრებაზე გამოიხატა ნებისყოფა მხოლოდ ქართველ კლერიკალურ წრეების და იმ ნაციონალისტურ წრეების, რომელნიც დემოკრატიზმას სამოსელს იცვამენ ხალხის თვალის ასახვევათ და არსებითად კი რეაქციონურ საქმეს ემსახურებიან.

და ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ამ გარემოებას ხაზი გავუსვათ.

მორწმუნეთა საზოგადოება უნდა დარჩეს მორწმუნეთა საზოგადოებათ. ერს, ხალხს კი თავის საკუთარი მიზნები და გზა აქვს. პოლიტიკურ სფეროში ეკლესიის ჩარევა, მხოლოდ მავნებელია დემოკრატიისთვის. იგი ასეთსავე შედეგებს მოიტანს, როგორც ჩვენ მეზობელ ხალხებში მოაქვს მათ ავტოკეფალიას, ე. ი. ხალხის გონებრივად დაბრმავებას და დამორჩილებას.

დემოკრატია ასეთ დამონებას ებრძოდა და აწიც შეებრძოლება.

დემოკრატიის თათბირი.

(პ. ლ. ს.)

(გაგრძელება).

ზარუდნი. მთავრობის უპირველესი მიზანია არ გაახანგრძლივოს დამფუძნებელი კრების მოწვევა. ამისთვის საჭიროა დამფუძნებელ კრების საგარეო დაცვისთვის ზომების მიღება. შემდეგ რუსეთისთვის საჭიროა მთავრობა, რომლის ყველა წევრებიც ამის შესახებ შეთანხმებული უნდა იყვნენ და უფრო ავტორიტეტული ხასიათი რომ ჰქონდეს მას, საჭიროა ის წინასწარ პარლამენტზე დაეყრდნოს. მთავრობის მუშაობა მაშინ იქნება ნაყოფიერი, თუ მისი და წინასწარ პარლამენტის შემადგენლობა კოალიციური იქნება. სამინისტროში ერთი პოლიტიკური პროგრამით უნდა შევიდნენ. პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ ბოლშევიკების წინააღმდეგ ზარუდნი ამბობს, რომ ის არსებობს თეორეტულად, მაგრამ პროლეტარიატი თავის ბელადების სახით ბრძენი იყო და არ მოინდომა მისი განხორციელება. ჯერ ის შორს დადგა მთავრობისაგან, შემდეგ კანტროლის გაწევა დაიწყო და ბოლოს თავის წარმომადგენლები გაგზავნა იქ. ყოველ შემთხვევაში საჭიროა საზოგადოებრივი ორგანოს შექმნა, რომელიც პასუხს მოსთხოვს დირექტორიას. იგონებს რა ივლისის კრიზისს, როცა კერენსკი მარტოთ დარჩა და აგრეთვე კორნილოვის შეთქმულობას, ზარუდნი აღნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში მინისტრები სამშობლოს სიყვარულისთვის სამსახურისთვის თავს ანებებდნენ, ხოლო ასეთ საშიშ დროს ყველა მინისტრის მუშაობა საჭიროა. რუსეთში რომ წინასწარი პარლამენტი იყოს, უმთავრობობა არ იქნებოდა. კადეტების კორნილოვის შეთქმულობაში მონაწილეობის შესახებ ზარუდნი ამბობს, რომ ეს მართალი არ არის, რადგან ყალბ ცნობებზეა აგებული. დროებით მთავრობაში კადეტები შეთქმულობას სინდისიერათ შეხვდნენ. მათ პირველად სთქვეს: გამოსავალი გზა ერთია—კერენსკის დიქტატურა. ორატორი აცხადებს, რომ საჭიროა ჯგუფის არჩევა, რომელიც მთავრობასთან დამოკიდებულებას იქონიებს წინასწარ პარლამენტის შედგენის შესახებ. სასურველია წინასწარ პარლამენტში ყველა პარტიები შევიდნენ, კადეტებიც. ამ ორგანოს წინაშე პასუხი უნდა აგოს მთავრობამ. ახლა პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ კამათის დრო არ არის. მე არ მჯერა, რომ სამშობლო დაიღუპოს, ხოლო უკეთუ ჩვენ დავი-

საერთაშორისო ომი.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე მტერმა საარტილერიო ბრძოლა გააძლიერა.

კავკასიის ფრონტზე სიწყნარეა.

ძლიერი ბრძოლა სწარმოებს საფრანგეთის და იტალიის ფრონტზე. მდინარე ენის ახლოს გერმანელები შეიჭრნენ ფრანგების თხრილებში, მაგრამ ფრანგებმა ძლიერი კონტრ-იერიშით ისევ უკუაქციეს. იტალიელთა ჯარებმა დაამარცხეს ავსტრო-გერმანელები სოფ. სპიტალის ახლოს, აიღეს სიმაღლე და ტყვეთ წამოიყვანეს 49 ოფიცერი და 1800 ჯარისკაცი. ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენმა ჯარმა ათასი ნაბიჯით წინ წაიწია.

ლუპებით, დავიღუპით როგორც პატიოსანი, ერთმანეთის და სამშობლოს მოსიყვარულე ხალხი (ტაში).

პეშეხონოვი: მე სხვა გზას ვერ ვხედავ გარდა კოალიციისა. მარტო მშრომელ დემოკრატიას არ შეუძლია ქვეყნის მართვა-გამგეობა. ჩვენ საშიშ დროს განვიცდით. დღეს მთავრობისთვის ბრძოლა იმდენათ არ არის, რამდენაც ხალხი ცდილობს სთქვას: „ღმერთო მაშორე ამ განსაცდელს“ ო. შემდეგ ორატორი ლაპარაკობს კადეტების შესახებ და ამბობს, რომ არ შეიძლება მათ უმოქმედობა დავაბრალოთ, რადგან მთავრობის მუშაობაში ისინიც იღებდენ მონაწილეობასო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ის, რომ კადეტების მონაწილეობით გაატარეს პურის მონოპოლიის და მიწებზე გადასახადების კანონ-პროექტები. რაც შეეხება შეთქმულობაში მონაწილეობას—ამბობს ორატორი—არამც და არამც არ შეიძლება მათ ეს დავაბრალოთ, მხოლოდ ხასიათის სიმტკიცე რომ ვერ გამოიჩინეს, ეს კი მართალია. კოალიციის პრინციპს ძირს უთხრიდა თვით დემოკრატიის ორ პროგრამას შუა რყევა. ეხლა უნდა დავიხსნათ სახელმწიფო უნდა გვახსოვდეს, რომ ეხლა ომია და საჭიროა მოთხოვნების შეზღუდვა. ჩხეიძის მიერ მოსკოვის თათბირზე გამოქვეყნებული პროგრამა მართლაც რამდენადმე ზღუდავს მშრომელ მასის ინტერესებს. დემოკრატიამ ეხლა თვით უნდა გაიღოს მსხვერპლი. ასეთ საბედისწერო დროს პირველ საკითხი უნდა იყოს სახელმწიფოს ხსნა და არა კლასობრივ ინტერესების დაკმაყოფილება. კოალიცია უნდა შესდგეს იმ პირობით, რომ კლასობრივი ინტერესები საზოგადო სახელმწიფოებრივს დაუქვემდებარდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობის მაგიერ მის აჩრდილს მივიღებთ.

აქსენტიევი. უნდა დაარსდეს მთავრობაზე კონტროლი, რომელიც თავის ძაფებით მჭიდრო გადაბმული იქნება მთელ ქვეყანასთან. ეს არის წინასწარი პარლამენტი. ის უნდა შესდგეს დემოკრატიის წარმომადგენლთაგან, მაგრამ ამავე დროს იქ ადგილი უნდა ჰქონდეს ცენზიან კლასების წარმომადგენლებს, რომ საერთო ნაციონალური ავტორიტეტით სარგებლობდეს. მეორეთ, ამასთან ერთად საჭიროა გარკვეული პოლიტიკური პლატფორმა, მან უნდა განახორციელოს დამფუძნებელ კრების დროზე მოწვევა, აქტიური აწარმოოს საგარეო პოლიტიკა, და ცხოვრებაში გაატაროს 14 აგვისტოს მოსკოვის თათბირზე გამოქვეყნებულ პროგრამის მთავარი მუხლები. უნდა შესდგეს კოალიციური მთავრობა ცენზიან ელემენტების მონაწილეობით, რადგან უკოალიციოთ დემოკრატიული მთავრობა სოციალისტური იქნება, ის ვერ შესძლებს ხალხის პურისა და ზავის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და დემოკრატიის დიდ ნაწილს ჩამოიშორებს. საჭიროა წინასწარ პარლამენტი, რომელიც მთავრობის ქვაკუთხედი იქნება.

წერეთელი. დემოკრატიული თათბირი ქმნის ახალ მთავრობის ბაზისს, რევოლუციის დაწყებიდანვე არსებითათ მთავრობის წყარო დემოკრატიის ორგანოები იყო, პირველ მთავრობის შედგენის დროს ის დებულობდა მონაწილეობას და დღევანდლამდე გზავნის იქ თავის წარმომადგენლებს. რევოლუციონური დემოკრატია, თავის ორგანოების სახით არის მთავრობის წყარო და როგორც ასეთს, ჩვენ უფლება გვაქვს წავართვათ უკან მანდატი, რომელიც ჩვენ წარმომადგენლს მივეცით მთავრობაში და სულ სხვა ნიადაგზე შევადგინოთ ახალი მთავრობა. იყო დრო, როდესაც კოალიციური მთავრობის შედგენა ჩვენ ერთ პირს მივანდეთ. ეხლა ეს დრო წავიდა და ამის შემდეგ არ შეიძლება კერძო პირებს მივსცეთ უფლება მთელი კლასების სახელით შეადგინოს მთავრობა. როცა მთავრობის შედგენის ხასიათი გამოირკვევა, საჭირო იქნება ისეთი ორგანოს შექმნა, რომელიც კონტროლს გაუწევს მის მოქმედებას, რომლის წინაშე მთავრობა პასუხისმგებელი იქნება. მხოლოდ მაშინ ვიქნებით დარწმუნებული, რომ ყველა კლასები, რომლებიც ამ ორგანოში იქნებიან წარმოდგენილნი, ნდობით უყურებენ მთავრობას, მხარს დაუჭერენ მას და ქვეყნის მომავალი საეჭვო არ იქნება, როცა ამ ორგანოში წარმოდგენილი იქნება მცხოვრებთა ყველა სალი ელემენტები. რომ დემოკრატია ორგანიზაციულათ მოწყობილი იყოს, რომ ჩვენ გვქონდეთ როგორც დემოკრატიის ისე ბურჟუაზიის წარმომადგენლობითი ორგანოები, რომლებიც მცხოვრებთა ერთსულოვნობის გამომხატველნი იქნებოდნენ, მაშინ ისეთ შეცდომებს ადგილი აღარ ექნება, რომლებზედაც ლაპარაკი ეხლა საჭირო არ არის. კორნილოვის შეთქმულობის დროს ეს ფრიად საგრძნობი შეიქნა: მცხოვრებთა მრავალი ნაწილი იმ აზრს დაადგა მაშინ, რომ საჭიროა ერთპიროვნულ მთავრობის შედგენა. ეხლა, როცა დემოკრატია გაერთიანდა, გაერთიანებულ დემოკრატიის ამ თათბირმა უნდა შექმნას მთავრობა, უნდა გამოჰყოს თავიანთ შორის საგანგებო საკონტროლო ორგანო. მხოლოდ მაშინ დავრწმუნდებით, რომ ეს მთავრობა მტკიცე საფუძველზე დაეყრდნობა, ხალხის ნდობას მოიპოვებს და სისხლისაგან დაცლილ რუსეთს დაღუპვისაგან იხსნის (ხანგრძლივი ტაში).

განსახილველია ბრძოლის საკითხები.

კუჩინი ყველა ფრონტის კომიტეტების სახელით აცხადებს, რომ ჯერ კიდევ მოსკოვის თათბირზე ფრონტის ჯგუფმა გადაჭრით აღნიშნა, რომ ქვეყნის ხსნა შეიძლება მხოლოდ ბრძოლის შემძლე ჯარის შექმნით. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ჯარმა განიცადა—რიგა, იაკობშტადტი და კორნილოვის ისტორია. საჭიროა ვიცოდეთ, რა მოხდა და როგორ მოხდა. ქვეყანა ეხლა თან და თან ირყევა რიგის ამბებში. ჯარში ისევ ფეხს იკიდებს ჯარისკაცების მასისადმი უნდობლობა. ბევრი სიყალბე და ცილისწამება დაიწამა ამ ხნის განმავლობაში რუსის ჯარისკაცმა. რომ ბრძოლის შემძლე ჯარი შევქმნათ, ამისთვის საჭიროა ჯარის საკუთარი ორგანიზაციისადმი უნდობლობის ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა. კუჩინი ფრონტის ჯგუფის სახელით სასტიკათ ჰკიცხავს თვითგასამართლებას. ჩვენი თანაგრძნობა იმ უდანაშაულო მოწამეებს, რომლებიც ამ უვიცობის მსხვერპლნი გახდენ, წყევა-კრულვა მათ, რომლებმაც ხელი ასწიეს და მუხანათურათ მახვილი ჩასცეს ჩვენ ჯარს, ულალატეს მას, მოიწადინეს აჯანყების მოხდენა. (ტაში. ქანდარიდან მოისმის ხმა. პატივი ვსცეთ მსხვერპლებს ფეხზე ადგომით. ყველანი ფეხზე დგებიან.) შემდეგ ორატორი აცხადებს, რომ ფრონტის ჯგუფი სალამს უძღვნის სამხედრო მინისტრს, რომელიც მის პროგრამას მხარს უჭერს. მებრძოლ ჯარის შექმნა შეიძლება მაშინ, როცა ჯარსა და ხალხს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდება, როცა ჯარი შეიგნებს ქვეყნის ცხოვრებას და პოლიტიკას, საჭიროა საერთაშორისო მშვიდობიანობისკენ მიმართული საგარეო პოლიტიკა. მთავრობის კრიზისის შესახებ კუჩინი ამბობს, რომ მთავრობა დემოკრატიაზე უნდა იყოს დამყარებული და იმ პროგრამას უნდა ასრულებდეს, რომელიც ჩხეიძემ გამოაქვეყნა მოსკოვის თათბირზე. უკეთუ ჯარი დარწმუნებული იქნება, რომ მთავრობა დამყარებულია დემოკრატიულ ორგანიზაციებზე, მაშინ ის ძალას მოიკრებს და ქვეყანაც დახსნილი იქნება. (ტაში).

ვოიტინსკი—ჯარის მდგომარეობა ძლიერ ცუდია, მაგრამ შეიძლება მისი გამოკეთება. საჭიროა ჯარის საბრძოლველ ძალის გაძლიერება, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეპრესიების, სიკვდილით დასჯის, სამხედრო რევოლუციური სასამართლოების დრო მოკვდა, წავიდა. არავინ იმას არ ამბობს, რომ თითქოს ჯარში დისციპლინა საჭირო არ იყოს, მაგრამ რომ ჯარი განვკურნოთ, ამისთვის საჭიროა ნდობა გქონდეთ იმისი, უნდა აღიმაღლოთ მისი მატერიალური და მორალური ძალა. საჭიროა საგანგებო ყურადღება მიექცეს მიაწოდონ ჯარს სურსათი, ტანისამოსი და ფეხსაცმელი. მშიერ ჯარს არ შეუძლია გამარჯვების მოპოვება. ფრონტს ყოველგვარი უნდა ქონდეს. საჭიროა ჯარის ზნეობრივი ამაღლება, საჭიროა გაუგებ მარტონ მას რისთვის იბრძვის, ვისთვის კვდება. საჭიროა გაძლიერონ ფრონტზე კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა. რომ ჯარი ძლიერი შეიქნეს ამისთვის საჭიროა ჯარისკაცთა მასსა ნდობით უცქეროდეს ოფიცრობას. ოფიცერთა უმრავლესობა ჯარისკაცებთან ხელი ხელჩაკიდებული მიდიან, მაგრამ არიან ისეთი ოფიცრებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათი მდგომარეობა პრივილეგიურია, მათთან სულ სხვა დამოკიდებულება აქვთ როგორც ჯარის კაცებს, ისე უბრალო ოფიცრებს. ჯარის ხელმძღვანელები უნდა გამოიცვალონ. ჯარს სათავეში უნდა ედგან ისეთი პირნი, რომელნიც ჯარს ენდობიან. ორატორი წინააღმდეგია არჩევნების წესების შემოღების ჯარში და საუმჯობესოთ სცნობს ატესტაციური წესების შემოღებას. როცა რომელიმე ოფიცერი უმაღლეს თანამდებობას იღებულობს მას ატესტაცია უნდა გაუკეთონ ჯარების ორგანიზაციებმა. დასასრულ ორატორი ეხება კომისარების ინსტიტუტს და ამბობს, რომ მათ უნდა იმუშაონ ჯარების ორგანიზაციებთან სრული თანხმობით.

სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი. (მის გამოსვლას დიდი ტაშისცემით ეგებებიან). აღძრულმა გრძნობებმა მაიძულა სიტყვა მეთხოვნა, როგორც ფლოტის წარმომადგენლების და ჩემი ნათქვამიდან ჩანს, როგორი ფრიად მძიმე საკითხი გვაქვს გადასაწყვეტი, როცა კითხვა ჯარების საქმეს ეხება. მე არ შევეხები მიზნებს, ვიტყვი მხოლოდ რომ ჯარი ტიტველია და შია. და ეს მაშინ, როცა წელს მოსავალი მეტია, ვიდრე შარშან. ჯარს პურს იმდენს არ აძლევენ, რამდენიც უნდა. საწყობებში აუარებელი წაღები და თბილი ტანისამოსები არის, მაგრამ მიწოდება შეუძლებელია, რადგან ძნელია გადაზიდვა. ავათმყოფ ორთქლმავლების რიცხვი მრავლდება. მიუხედავათ ყველა ამისა, სასიამოვნოა ერთი რამ, რომ აქ ამ დემოკრატიულ თათბირზე ითქვა ის, რაც მოსკოვის თათბირზე არ თქმულა. მოსკოვის თათბირზე კორნილოვის სიტყვებზე ოფიცრები და ჯარისკაცები ხმას არ იღებდენ, ეხლა კი ლაპარაკობენ და მათ სიტყვებს ჩვენც ფრონტის წარმომადგენლნი ეთანხმებიან. აქ ითქვა ახალი სიტყვები ჯარის ხელმძღვანელთა და ჯარისკაცების გაერთიანების შესახებ, არა მარტო სიტყვებით, არამედ საქმით (ტაშისცემა, ლოჟიდან მოისმის ხმა: „გაუმარჯოს რევოლუციონერ სამხედრო მინისტრს. მქუხარე ტაშისცემა ასტყდება. თათბირის წევრები ფეხზე დგებიან და ისე უკრავენ ტაშს). გაერთიანების ეს დიადი საქმე უკვე აღნიშნეს ჩვენ მოკავშირეთა ყველა სამხედრო პირებმა. ეს ესმის ვილჰელმს თავის მილიტარისტულ ჯოდით. დიახ, შეძრწუნდეს მისი გული (ტაში) ეს ზავის პირველი თავმდებია, იმ ზავის, რომელიც უნდა შეჰკრან რუსეთის რევოლუციის მიერ წამოყენებულ საფუძველზე (ტაში).

აბრამოვი. (ფლოტის წარმომადგენელი) საქმე ის კი არ არის, როგორი იქნება კოალიცია, არამედ ის, რომ მთავრობა პასუხისმგებელი იყოს. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება მთავრობამ ხალხის ნდობა დაიმსახუროს და შესაძლებელი იქნება ჯარისა და ფლოტის გაძლიერება. ორატორი აბათილებს იმ ბრალდებებს, თითქოს ბალტიის ფლოტს ბრძოლის შეძლება არ ჰქონდეს. ის მოაგონებს ნაღმოსან „ოხოტნიკის“ დაღუპვას, როცა მხოლოდ თვრამეტი კაცი გადარჩა დაღუპვას. თავმჯდომარეს წინადადებით ნაღმოსან „ოხოტნიკზე“ დაღუპულთა ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცეს. შემდეგ ორატორი ბალტიის, შავიზღვის და თეთრი ზღვის ფლოტის ცენტრალური კომიტეტების სიმბირსკის, ამურის და კასპიის ფლოტილიის და სრულიად რუსეთის სამხედრო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სახელით აქვეყნებს დეკლარაციას. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ სრულიად რუსეთის დემოკრატიის თათბირი მშრომელ ხალხის ნების გამომხატველია და მან უნდა გამონახოს გზა, მიიყვანოს ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე და მით დაიხსნას ის დაღუპვისაგან, საჭიროა თათბირმა გამოჰყოს და შესდგეს საგანგებო კანონმდებლობითი ორგანო, რომელსაც მინდობილი უნდა ჰქონდეს მთავრობის შედგენა, მანამდე გამოაცხადოს დემოკრატიული რესპუბლიკა, საჩქაროთ მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, დაუყოვნებლივ გააუქმოს სიკვდილით დასჯა, გადასჭრას მიწის საკითხი და ჩქარა ჩამოაგდოს დემოკრატიული ზავი. დასასრულ ორატორი აცხადებს რომ ფლოტის ორგანიზაციები ჰგმობენ თვითგასამართლებას. (ტაში).

გავრილოვი (სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის ყაზახთა წარმომადგენელი). ქვეყნის ხსნა შეიძლება მხოლოდ ძლიერი მთავრობის შედგენით, რომელიც არც კლასობრივი და არც პარტიული არ უნდა იყოს. ყაზახები წინააღმდეგი არიან დამფუძნებელ კრების გადადების და მხარს უჭერენ სამხედრო მინისტრის დეკლარაციას. ყაზახები დაიცავენ დემოკრატიულ რესპუბლიკას და მხარს დაუჭერენ დროებით მთავრობას ყოველივე გაჭირვებაში.

შემდეგ ლაპარაკობენ ორენბურგის, ენისეის და სემირეჩენსკის ყაზახთა წარმომადგენელი პროტოპოპოვი, სახალხო ჯარის წარმომადგენელი იაბლონსკი და დასახიჩრებულ მხედრობათა წარმომადგენელი ვიშნევსკი; ყველა ორატორები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ქვეყნის დასახსნელად საჭიროა ძლიერი მთავრობის შედგენა, რომ ყველანი დაიცავენ დემოკრატიულ რესპუბლიკას და მხარს დაუჭერენ დროებით მთავრობას.

კრება იხურება.

(შემდეგი იქნება).

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

19 სექტემბერი.

მოკავშირეთა განცხადება.

პეტროგრადი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა წარმომადგენლებს განუცხადებიათ, რომ გაზეთებში გავრცელებული ხმები, თითქოს გერმანიასთან რუსეთის ხარჯზე ზავის ჩამოგდების შესახებ მოლაპარაკება გვქონდეს, სიმართლეს არ შეესაბამებაო.

ყუმბარა.

ადისა. ქალაქის განაპირა უბანში, რკინის გზის ლიანდაგთან, აღმოაჩინეს დიდი ყუმბარა, რომლითაც მიზნათ ჰქონდათ მატარებლის აფეთქება.

უსურსათობა.

კიევი. ვინაიდან კიევში სურსათის ნაკლებობაა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა თათბირმა დაადგინა სხვადასხვა ქალაქებიდან გახიზნულნი კიევში არ შეუშვან.

გომელი. რადგანაც ქალაქში პურის ნაკლებობაა, ზოგიერთმა ჯარის ნაწილებმა საკუთარი ფონდიდან სულზე ნახევარი გირვანქა პური დაურიგეს მცხოვრებთ.

პერმი. გამოანგარიშებულია, რომ მთელს გუბერნიას 5 მილიონი ფუთი პური აკლია.

არეულობა.

ტაშკენტი. ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურმა კომიტეტმა პეტროგრადში დეპეშა მიიღო ტაშკენტიდან, სადაც აწერილია ის საშინელება, რომელიც ტაშკენტს მოელის, უკეთუ მდგომარეობა ასე გაგრძელდება.

ვორონეჟი. ოსტროგოჟსკში დაარბიეს და დასწვეს არყის საწყობი.

ტამბოვი. კოზლოვის მაზრის სამხრეთ ნაწილში გლეხები დარბევათა წინააღმდეგ წავიდენ. თითონ გლეხები იცავდენ მამულებს და აგიტატორებს აპატიმრებდენ და მთავრობას აძლევდენ. მოტაცებულ საქონელს და ნივთებს აბრუნებენ. დარბევაში მთავარი მონაწილეობა მიუღიათ სიჩევკას და იაროსლავკის გლეხებს. დაპატიმრებულია 40 კაცი. ზარალი რამდენიმე მილიონ მანეთს შეადგენს.

შრომის სამინისტროში.

პეტროგრადი. შრომის სამინისტროსთან შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი; თათბირმა უნდა შეიმუშაოს პროექტი, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებიან რკინის გზის დაწესებულებათა მუშა მოსამსახურენი ავათმყოფობის, უბედური შემთხვევის და შრომის უნარის დაკარგვის გამო.

გენ. პრჟევალსკის დეპეშა.

კავკასი. სახელმწიფო დუმის წევრმა კარაულოვმა კავკასიის ჯარების უფროსის გენ. პრჟევალსკისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც პრჟევალსკი აცნობებს, რომ ვინაიდან კორნილოვის საქმეს სასამართლო ღია კარებში გაარჩევს, მას, კარაულოვს, საშუალება ექნება ყოველივე მასალა, რაც კორნილოვის შესახებ მოეპოვება, შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს. ამიტომ მას არავითარი საბუთი არ ჰქონდა მიემართა მოწოდებით თერგის ყაზახებისათვის. ეს არღვევს იმ სიმშვიდეს და წესიერებას, რომელიც ასე საჭიროა ამ ჟამად და ამიტომ ასეთი მოწოდების გამოცემას გიკრძალავთ, აცნობებს პრჟევალსკი.

გერმანიაში.

სტოკჰოლმი. საიდუმლო კომისიაში კანცლერმა განაცხადა, რომ რეიხსტაგის საზავო რეზოლუცია გარკვეულით არის პაპის საპასუხო ნოტაში. არც ერთი დაპყრობილი ადგილის განთავისუფლებას გერმანია არ ფიქრობს ზავზე მოლაპარაკების წინა.

ავსტრიის პარლამენტში.

ციურიხი. ავსტრიის რეიხსრატში მდგომარეობა კრიტიკულია. ჩეხები ენერგიულ გამოსვლისათვის ემზადებიან. ახალგაზრდა ჩეხების, ნაციონალისტების, სოციალისტებისა და სტრანსკის ჯგუფის გაერთიანებამ სენსაცია მოახდინა. პრეზიდენტებათ აირჩიეს კლოფაჩი და კრამარჟი. სოციალისტები და სლავიანები მთავრობის წინააღმდეგი არიან. რუსინები მოითხოვენ უკრაინისა და სამხრეთ სლავიანების ტერიტორიას, ხორვატები მხარს უჭერენ ჩეხის სამხრეთ სლავის და პოლონეთის დამოუკიდებულებას და უარყოფენ გერმანიის მფარველობის ქვეშ ავტონომიას.

საყოველთაო გაფიცვა.

ნიუ-იორკი. მუშებმა და ანარქისტებმა არგენტინაში საყოველთაო რევოლუციონური გაფიცვა გამოაცხადეს. სოციალისტ მუშათა კავშირი გაფიცვას არ შეუერთდა.

ომის დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

მოქმედი ჯარი. სამხრეთ დასავლეთ ფრონტზე მტერმა საარტილერიო ბრძოლა გააძლიერა. ჩვენმა ბატარეამ მტრის ზარბაზნები ჩააჩუმა.

პარიზი. მდინარე ენის ახლოს მტრის რაზმი იერიშით წამოვიდა და ჩვენს თხრილებში შემოიჭრა, მაგრამ ისევ უკან გავრეკეთ. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე სროლაა.

პეტროგრადი. ჩრდილოეთის ფრონტი. რიგის მიმართულებით რკინის გზიდან ხუთი ვერსის მანძილზე სოფელ სპიტალის მიდამოებში ჩვენმა მოწინავე რაზმებმა უკან დაახევინეს მტრის მოდარაჯე რაზმებს და 800—1000 ნაბიჯით წინ წაიწიეს.

კავკასიის ფრონტი. საყურადღებო არა მომხდარა რა.

რომი. 16 სექტემბერს ჩვენმა ჯარებმა პოდლაკის სამხრეთით დაიჭირა სიმაღლე, ტყვეთ ჩავიგდეთ 49 ოფიცერი და 1300 ჯარისკაცი.

დეპეშა

ჭიათურა. საქალაქო არჩევნები დასრულდა. არჩეულ იქნენ: 20 ხმოსნიდან სოციალ-დემოკრატი 14, დანარჩენი პარტიები—ორ-ორი ხმოსანი (სოც.-რევ., ს.-ფედერალისტები და ეროვნ. დემოკრ.).

ახალი ამბები

ქართული პოლკები. კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ევგენი გეგეჭკორმა დროებითი მთავრობისაგან ცნობა მიიღო, რომ ნებადართულია ეროვნულ სამხედრო ნაწილების შედგენა. დღეიდან, ამნაირათ, შესაძლებელია ქართული პოლკების შედგენაც.

◆ **საგარეო დაწესებულებათა რეკვიზიცია.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა დაადგინა მოახდინოს ყველა იმ საგარეო დაწესებულებათა რეკვიზიცია, რომლებიც არღვევენ ვაჭრობის ნორმალურ წესებს.

◆ **საარჩევნო ფონდი.** შემოვიდა რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის კასაში ს. საჯამიასერის (გურია) რაიონულ კომიტეტისაგან დამფუძნებელ კრების ფონდის სასარგებლოთ 150 მან.

◆ **ლექცია.** დღეს, დემოკრატიულ კლუბში „მუშტაიდ“-ში ამხ. პ. ახატიანი წაიკითხავს ლექციას სოციალიზმზე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

◆ **კახეთის რკ. გზის** ცენტრ. კომიტეტმა დეპეშით აცნობა მუშა-მოსამსახურეებს, რომ რევოლუციის საჭიროებისათვის ყველამ უნდა გაიღოს ნახევარი დღის შემოსავალი.

◆ **მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.** როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ქართულ გიმნაზიის [illegible] იძულებული შეიქნენ 2 სექტემბერს გაფიცვა გამოეცხადებიათ, ვინაიდან გიმნაზიის ადმინისტრაციამ მათი მოთხოვნილებები არ დააკმაყოფილა. შემდეგ მუშებმა ანგარიში გაუწიეს იმ გარემოებას, რომ მალე სწავლა უნდა დაწყებულიყო და რომ სასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, წინადადება მისცეს ადმინისტრაციას ცალკე კომისიისათვის გადაეცათ მოთხოვნილებათა განხილვა. კომისიაში აირჩიეს: მშობელთაგან ირაკლი რამიშვილი და მ. [illegible], საზოგადო კრებიდან—ვარლამ ბურჯანაძე, გ. ჟურული, ალ. ციმაკურიძე და ს. კლდიაშვილი. მუშებმა თავის წარმომადგენ კომისიაში აირჩიეს ვ. ნიკურაძე. კომისიამ სამართლიანად აღიარა მუშების მოთხოვნილება და საზოგადო კრებამაც დაამტკიცა მისი დადგენილება. ამნაირად მუშებს თვიური ჯამაგირი გაუდიდეს 130—140 მანეთამდე (ძირითადი ჯამაგირი 40 მან.) ამასთანავე მასწავლებლებსაც მოუმატეს 60—80 პროც. ჯამაგირისა. ხარჯების დასაფარავად საჭირო შეიქნა სწავლის ფულის გადიდება 75 მანეთიდან 150 მანეთამდე.

◆ **ტფილისის ქართ. დრამის რეჟისორი** ვალ. შალიკაშვილი იწვევს ახალგაზრდებს, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მუშაობა. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დრამ. საზოგ. კანტორაში (სასახლის ქ. თავად-აზ. სახლი) დილის 11—2 საათამდე ი. [illegible].

◆ **ამიერ კავკასიის მარქსისტ მოწაფეთა** კავშირის ტფილისის ორგანიზაციაში დაიწყო წევრების მიღება მეოთხე რაიონის კოლ. მდივანთან ამხ. კუკური კალანდარიშვილთან. (უდელნაია ულ. № 3. მე 6 ვაჟ. გიმნაზია).

◆ **ჟურ. „შინა გიმნაზია და უნივერსიტეტი“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალის მე-2 ნომერი. ჟურნალი შინაარსიანი და სუფთათ გამოცემულია. ჟურნალის რედაქცია სთხოვს ქართველ მასწავლებლებს შეადგინონ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წიგნები: ფილოსოფიის ისტორია, რუსული ისტორია და სხ.

◆ **სურსათი.** 17, 18 და 19 სექტემბერს ტფილისში შემოვიდა 12 ვაგონი ფქვილი, 8 ვაგონი ქართოფილი, 2 ვაგონი ფხვნილი შაქარი, 2 ვაგ., [illegible], 1 ვაგ. ქერი და 2 ვაგ. კომბოსტო.

◆ **ჩვენს გაზეთში (№ 142)** მოთავსებულ თეკლათის მონასტრის შესახებ, კორესპონდენციის გამო, სენაკის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი გვატყობინებს, რომ მას არ დაუდგენია იღუმენია ნინოს გაძევება მონასტრიდან.

◆ **გაზეთის შეწყვეტა.** რადგანაც ფული არ გამოგვიგზავნეს, ამიტომ დღეს უკანასკნელათ ვგზავნით გაზეთებს გორის, ზუგდიდის და ჭიათურის ორგანიზაციებს.

კრებები და მიტინგები

დღეს, დილის 12 საათ., სახაზინის თეატრის დარბაზში დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს., ამიერ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კანცელარიაში დანიშნულია სამოსწავლო ოლქის მმართველ საბჭოს წევრთა კრება. დღის წესრიგი: 1) პრეზიდიუმის არჩევნები; 2) კავკასიის ცენტრალურ რევოლუციონურ კომიტეტის ცნობა.

— დღეს, საღამოს 7 საათ., ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ამნისტიით განთავისუფლებულთა კრება. დღის წესრიგი: 1) ბინის საკითხი; 2) ხელმოკლე და ავათმყოფ ამხანაგებისათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენა.

პროვინციის ქრონიკა.

ოზურგეთი. 20 სექტემბერს ქ. ოზურგეთში, თეატრის დარბაზში, დილის ათ საათზე გაიხსნა აგრონომიული თათბირი; მოწვეული არიან გურიის ყველა სოფლიდან წარმომადგენელნი. აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქის აგრონომები. სხვა ღონიერ კითხვებს შორის დაისმება კითხვა გურიაში სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ. გთხოვთ ყველა სოფლებს გამოგზავნოთ თავიანთი წარმომადგენელნი. მომწყობი კომისია ცდილობს წარმომადგენლებს უშოვნოს უფასო ბინა. თათბირის მომწყობი კომისია.

ცხინვალი. 31 აგვისტოს აქ წარმოადგინეს „პატარა კახი“ წარმოდგენა გაიმართა ადგილობრივი ქალთა წრის და აღმასრულებელი კომიტეტის სასარგებლოთ. წარმოდგენამ საერთოდ კარგათ ჩაიარა. ხალხი აუარებელი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა. წმინდა შემოსავალი დარჩა 700 მანეთამდე. ყველაფერი მშვიდათ და წყნარათ გათავდა, მაგრამ წარმოდგენის გათავების შემდეგ ჩვენი ბრწყინვალე წოდების ზოგიერთი წარმომადგენელი შეზარხოშდა. დროა ბოლო მოეღოს ასეთ პარპაშს ამ რევოლუციის ქარტეხილში მაინც.

გორი. 16 სექტემბერს მოხდა გორის კომიტეტის კრება, რომელსაც დავალებული აქვს გორის საშუალო სასწავლებელთა ნაციონალიზაციის გეგმის შედგენა. კომიტეტში შედიან: 10 ქალაქის გამგეობიდან, 3 მასწავლებელთა კავშირიდან, ორ-ორი სავაჟო და საქალებო გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოებიდან, მშობელთა წრეებიდან და სამასწავლებლო სემინარიიდან. ამათ მოირჩიეს პრეზიდიუმი:

უკანასკნელი ფოსტა.

სამხედრო სამინისტროს პოლიტიკური განყოფილება აცხადებს, რომ გაზეთებში გავრცელებული ხმა, თითქოს მთავრობას აზრათ ჰქონდეს ჯარიდან 36—40 წლიანების განთავისუფლება, სიმართლეს არ შეესაბამება.

— მუშათა გვარდიის მოწყობის საქმე მოსკოვში დამთავრებულათ ჩაითვლება. ყველა რაიონებში მოეწყო გვარდიის შტაბის განყოფილებანი. იარაღის შეძენის შესახებ მოლაპარაკება აქვთ გამართული ტულის და სორმოვოს ქარხნებთან. ჯერჯერობით შეძენილი იქნება 12 ათასი თოფი, რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი და საკმაო პატრონები.

თავმჯდომარე ქალაქის თავი ს. ი. რობაქიძე, თავმჯდომარის ამხანაგი მ. პ. კინწურაშვილი, მდივანი ო. სოლოლოვისა. კრებაზე დასმულ იქნა მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გასარკვევად თფილისის კომისარიატში საგანგებოდ თავმჯდომარის ამხანაგი კინწურაშვილი იქნა გაგზავნილი.

ბორჯომის რაიონი. 18 აგვისტოს სარაიონო კომიტეტში საჩივარი შემოიტანა ს. გოგოლაძეზე, რომელიც ამორჩეულია წაღვერის სასოფლო კომიტეტში; სარაიონო კომიტეტმა საჩქაროთ კომისია დანიშნა საქმის გამოსარკვევათ. კომისიამ მოახდინა სასოფლო ყრილობა. ყრილობამ ს. გოგოლაძე გადააყენა თანამდებობიდან.

ერევანი. საქალაქო არჩევნები დამთავრდა. სოციალისტების ბლოკმა გაიყვანა 16 ხმოსანი, დაშნაკელებმა—24, მუსულმანებმა—18 და კადეტებმა—2. მხნე აგიტაციას ეწეოდენ დაშნაკელები. თფილისიდან ჩამოტანით პლაკატები, მხოლოთ ოთხი ნომერი ორ ნომრათ გადაესწორებიათ.

ხპარხეთი. 2 სექტემბერს ჯულფა-თავრიზის რკინის გზის მოსამსახურეთა სოც.-დემ. კოლექტივმა აცნობა ორგანიზაციის წევრებს და აგრეთვე არა წევრებსაც, რომ არც ერთი ბრძანება გენერალი კორნილოვისა არ აესრულებიათ. ამასთანავე მოუწოდა ყველა ამხანაგ მოსამსახურეებს მხარი დაუჭირონ ღონით რევოლიუციონურ მთავრობას და დაიცვან მოპოვებული თავისუფლება.

ქვიდა ხაძარა. 6 სექტემბერს რევოლვერის შინჯვის დროს უცბედათ გაუვარდა და თვალში მოხვდა ტყვია ი. ე. ქვებურიძეს. ტყვია თავში გაჩერდა. ის ქუთაისში წაიყვანეს სადაც გარდაიცვალა.

მოლითი. მიმავალ სატვირთო მატარებლიდან ჭუკულმა გადახტა მოხუცი გაბუნაძე, რომელიც მატარებლის ქვეშ ჩავარდა და იქვე გაიჭრისა.

ძ. ყვირილა. ყვირილის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა: შესდგეს სამილიციო კომისია, რომელსაც ევალება შორაპნის მაზრის მილიციის რეორგანიზაცია. კომისიაში სამი კაცი მუშათა საბჭომ აირჩია და ორს გამოაგზავნიან მაზრის და ქალაქის აღ. კომიტეტები.

— ადგილობრივ მარქსისტ ახალგაზრდათა ორგანიზაციამ ყვირილაში და შორაპანში მოაწყო ე. ნინოშვილის საღამო. საღამო კარგათ ჩატარდა, ხალხი ბლომათ დაესწრო.

— მუშათა საბჭომ დაატუსაღა კიკაბერიძე, რომელმაც ქ. სარიყამიშში ამხ. ბურჯანაძის მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა.

— 9 სექტემბერს მუშათა, ჯარისკაცთა და გლ. საბჭოს კრებაზე გადაწყდა: შეიარაღებული იქნას მოწინავე მუშები და რევოლიუციონური ორგანოების წევრები.

— ქ. ყვირილის კომისრად დაინიშნა ი. ჯუღელი.

გუდაუთი. 28 აგვისტოს სახალხო სახლში ამხ. მ. წულუკიძემ წაიკითხა ლექცია. მოხსენება, კორნილოვის გამოსვლის შესახებ, ლექციამ ხალხზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველამ დაგმო კორნილოვის გამოსვლა და განაცხადეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იომებენ, რათა შეინარჩუნონ მოპოვებული თავისუფლება. დარბაზი ხალხს არ იტევდა.

— აქაური ვაჭრების დაუნდობლობას საზღვარი არ აქვს. ნიხრის შესახებ არავინ თავს არ იწუხებს.

— ბაზარში ენით გამოუთქმელი უწესოებაა.

— ციებ-ცხელებამ მაგრათ მოიკიდა ფეხი. ექიმი არ გვყავს.

— კვირა არ გაივლის ისე, რომ რამდენიმე დაცემა არ მოხდეს. ნაძირალები „მუშაობენ“. მკვლელობაც ხშირია.

ძირულა. შრომის აღმ. კომიტეტმა ახალი მოძრაობის მეთაურთა უღირსათ მოხსენებისათვის სამი დღით დაატუსაღა მოვაჭრე ცნობილი დარისპან გველესიანი და ზინქალი რაჟდენ თაბაგარი.

— 9 სექტემბერს ღამის 12 საათზე ადგილობრივ ვაჭრის რაჟდენ ნიორაძის დუქანში სახურავიდან ჩაიპარენ ბოროტ განზრახველნი და რამდენიმე თოფი ფართლეული ტომრებში ჩააწყეს და წაღებას უპირებდნენ; დუქნის პატრონმა დროზე შეიტყო ეს ამბავი და დაატოვებინა ფართალი. ბოროტ განზრახველებმა გაასწრეს.

საქალაქო არჩევნები ზუგდიდში

მოახლოვდა ქალაქის ხმოსნების არჩევნები. მრავალი წლობით უპატრონოთ მიტოვებულ ზუგდიდს დემოკრატიის გამარჯვებამ სხვა დაბებთან ერთად ქალაქის სახელი არგუნა და განახლებისაკენ მოუწოდა. ვინ უნდა იკისროს მისი განახლება? ვინ უნდა შთაბეროს სული და აამოძრაოს დღემდე მკვდარი, არ არსებული ქალაქის თვითმართველობა? რასაკვირველია, თვით დემოკრატიამ. მაგრამ უნდა ვიცოდეთ: რომელი პარტიაა ნამდვილი წინამძღოლი, ჭეშმარიტი დამცველი მშრომელი დემოკრატიის ინტერესებისა, რომელი პარტიაა მთელი ოცდა ხუთი წლის განმავლობაში, რომ მთელს საქართველოში და ამიერ კავკასიის სათავეში უდგას როგორც ქართველ, აგრეთვე სხვა ერთა დემოკრატიის მოძრაობას?

ეს პარტია სოციალ-დემოკრატიაა, ნამდვილი მშრომელთა პარტია, რომელსაც ბრწყინვალე გამარჯვება არგუნა ამიერ კავკასიის და კერძოთ საქართველოს მშრომელმა დემოკრატიამ. ყველამ კარგათ ვიცით, თუ როგორ დამთავრდა თფილისის, ქუთაისის, თელავის, გორის, სოხუმის, ფოთის და სხვა ქალაქის თვითმართველობების არჩევნები. დამთავრდა სწორედ ყველგან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებით. ამხანაგებო მშრომელნო! ნუ თუ ჩვენ არ უნდა მივბაძოთ ჩვენს ძმებს და ამხანაგებს, რომელნიც ჩვენსავით იჩაგრებოდენ და იყვლიფებოდენ მსხვილ ვაჭარ მრეწველ-მემამულეებისაგან? მათი დამარცხება, მათი განდევნა ყველა დაწესებულებიდან, აი სწორედ ესაა ჩვენი საერთო ინტერესი და ჩვენი გამარჯვება.

ამ რევოლიუციის დროს, ვინ იცის, რამდენმა პარტიებმა არ წამოყვეს თავი. საქართველოში მოქმედი პარტიები ყველანი დემოკრატიის ინტერესების დამცველობას კისრულობენ. გაზეთის ფურცლებზე მონაწილეობის მიღებაზე არავინ იტყვის უარს, მაგრამ საქმე იმაშია, თუ გავსინჯავთ მათ წარსულ მოღვაწეობას, მათ დემოკრატობას, ნათლად დავინახავთ, მართლა ვინ იყო მშრომელი დემოკრატიისთვის თავდადებული ყოველგან და ყოველთვის.

ეს ერთად ერთი პარტია ინტერნაციონალისტური სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია იყო, და არის, რომელსაც მიზნათ დაუსახავს ყველა ერის დაჩაგრულ კლასთა ინტერესების დაცვა და შეკავშირება საერთო მიზნის მისაღწევათ.

ამიტომ, არც ერთი ხმა გარდა სოციალ-დემოკრატიის სიისა!

ქალ. ზუგდიდში არჩევნები დანიშნულია 24 სექტემბერს. ხმა მისცეთ მუშათა პარტიას—სოციალ-დემოკრატიას. გაიყვანოთ ხმოსნებათ მათ მიერ წამოყენებული კანდიდატები, ურომლისოთ დემოკრატიის ინტერესების დაცვა შეუძლებელია.

სალამი და გამარჯვება ზუგდიდის მშრომელ დემოკრატიას! ხმა მიეცით № 1 სიას.

გაუმარჯოს განახლებულ ზუგდიდის დემოკრატიულ თვითმართველობას!

ი—ძე ე—ნია.

სამტრედიის საქალაქო არჩევნები.

5164 ამომრჩევლებიდან საქალაქო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა 4036 ამომრჩევლებმა. აქედან ს.-დემოკრატებს ხვდა 3377 ხმა, ს.-რევოლიუციონერებს—359 ხმა, ნაციონალ დემოკრატებს—215, ს.-ფედერალისტებს—72; გაიყვანეს: ს. დემოკრატებმა ხმოსანთა საერთო რიცხვიდან (20)—17 ხმოსანი, ს. რევოლიუციონერებმა—2 ხმ., ნაც. დემოკრატებმა—1 და ფედერალისტებმა არც ერთი. 13 ხმა უკანონოთ იქნა ცნობილი.

——

(შთაბეჭდილებანი).

17 სექტემბერს ქ. სამტრედიაში მოხდა საქალაქო არჩევნები.

დილის 9 საათიდან ხალხმა იწყო დენა საარჩევნო ყუთებისაკენ. მიუხედავათ წვიმიან დღისა, მოქალაქენი დიდის ყურადღებით ეკიდებიან არჩევნებს.

საარჩევნო კამპანიაში აქ ოთხი პარტიაა ჩაბმული. ამათში ერთი—ს.-რევოლიუციონერები, როგორც ზოგიერთი ამომრჩევლების შენიშვნებიდან ირკვევა, სრულიათ უცნობია ადგილობრივ მცხოვრებთათვის. ბევრი ამომრჩევლები ცნობის მოყვარეობით კითხულობენ: ვინ არიან ეს სოციალისტ-რევოლიუციონერები? ეს სახელი დღემდის არ გაგვიგონიათ. და მართლაც, ამ პარტიას აქ თითქმის არავინ არ იცნობს. და თუ იგი დღეს აქ გამოდის საქალაქო არჩევნებში და თავის სარეკლამო პლაკატებით იპყრობს მნახველის ყურადღებას, ეს იმით აიხსნება, რომ მას საკმაო წევრები ყავს რუს ჯარისკაცებ ამომრჩევლებში. უკანასკნელნი აქ ხუთასამდის ითვლება.

პაწაწა სამტრედია მთლათ წარწერებითაა აჭრელებული.

პარტიების წარმომადგენლები გამოსულან ყუთებთან და თვალყურს ადევნებენ, რაიმე უწესოება არ მოხდეს: ვინმე უპასუხისმგებლო პირებმა შეცდომაში არ შეიყვანონ ჯერ კიდევ არჩევნებში გამოუცდელი მოქალაქე... ყუთებთან იმართება პაწაწა-პაწაწა დებატები, სადაც ორატორები აქებენ თავიანთ პროგრამებს და აკრიტიკებენ სხვებისას. მსმენელებში საერთო სიმპატიით ს. დ. ორატორები სარგებლობენ...

ქუჩებში არიგებენ სხვადასხვა მოწოდებებს. ნაციონალ დემოკრატები თავიანთი „ეკონომიური უნარით, ყიდვა-გაყიდვის ნიჭით“ იწონებენ თავს... ყველაზე საგრძნობ ძალას ს.-დემოკრატები წარმოადგენენ. ამით აიხსნება ის, რომ ყველა სხვა პარტიებს მიზნად დაუსახავთ ამ პარტიის ხალხის თვალში გაშავება და მის მოქმედების ენერგიულ კრიტიკას ეწევიან. ამ მხრივ დამახასიათებელია ესერების ფურცელი. აქ მოყვანილია ქალაქების სია, სადაც ნაჩვენებია არჩევნების შედეგები და ყველგან დაპირდაპირებულია მხოლოდ ესერები და ს.დეკები. ამ სიაში საინტერესო ისაა, რომ გარდა ბათუმისა, სადაც ძალმომრეობით ესერებმა მხოლოდ ორი ხმოსნით გაიყვანეს მეტი, არც ერთ ამ. კავკასიის ქალაქის საბჭოში გასულ ს.-დ. ხმოსანთა რიცხვი არ არის აღნიშნული, აქ ნაჩვენებია მხოლოდ ესერების ხმოსანთა რაოდენობა... მოქალაქენი კითხულობენ ამ მოწოდებებს. მაგრამ ეტყობა, რომ ისინი უკეთ იცნობენ ს. დემოკრატებს, ვინემ სხვა ვინმე.

მოწაფეებიც დიდის ყურადღებით ეპყრობიან არჩევნებს. ისინი არიგებენ აგრ. მოწაფეთა ორგანიზაციის სახელით გამოშვებულ ფურცლებს, სადაც მოუწოდებენ მოქალაქეთ, ხმა მისცენ სიას № 1 ს...

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, ბევრისაგან მოისმოდა საყვედურები: მე საარჩევნო ბარათი არ მიმიღია, კანვერტი არ მომსვლია და სხვ. ეს იმის მაჩვენებელია, რომ არჩევნების ტეხნიკური მხარე ვერ იყო საკმაოდ მოწყობილი...

საერთოდ, დიდის აღფრთოვანებით გამოვიდა სამტრედიის დემოკრატია 17 სექტემბერს საქალაქო არჩევნებში...

მ. ჩაჩუა.

ქალაქის საბჭოში.

(18 სექტემბრის სხდომა).

სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდენ, მოსმენილ იქნა რამდენიმე შეკითხვა. ი. ხუმიონოვის (კ.-დ.) შეკითხვა მეტელე მერძეველთა და სხვ. დადგენილების შესახებ, რომ ისინი, თუ მათი მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდა, დაკეტავენ საქონლის საკვების კოოპერატივებს და გაჰყიდიან ძროხებს. საბჭომ, ა. ლომთათიძის წინადადებით, გამოაცხადა გამგეობას, რომელმაც შემდეგ სხდომაზე უნდა წარმოადგინოს მოხსენება ამ საკითხზე. მელიქ კარაკოზოვის მოთხოვნით, გამგეობა შემდეგში, თუ საბჭო საჭიროთ იცნობს, წარმოადგენს სამეურნეო და ფინანსიური ზომების გეგმას. ამხ. რ. არსენიძე შემოაქვს განცხადება ქართულ საეკლესიო ორგანიზაციის შესახებ. ქალაქის საბჭომ—ამბობს ორატორი—აუცილებლად უნდა გამოარკვიოს თავისი დამოკიდებულება ამ ორგანიზაციასთან, რომელიც ცდილობს ქართველ მორწმუნეთა სინოდის ოპეკისაგან განთავისუფლებას. მაგრამ ეს ორგანიზაცია მაინც უზრუნველ ვერ ჰყოფს სინდისის თავისუფლებას. იგი ცდილობს გარდა წმინდა სარწმუნოებრივი სამსახურის გაწევისა, გაავრცელოს ხალხში თავისი პოლიტიკურ სოციალური იდეები. ჩვენ მომხრე ვართ ეკლესიის სახელმწიფოსაგან სავსებით განცალკევების, მაგრამ ქართული ეკლესია სწორედ ამ მხრით არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლათ. სკოლის საკითხშიაც იგი ვერ გაჰყვება დემოკრატიის გზას. მას ეძლევა ნაციონალისტური ხასიათი, მას გამოიყენებენ ხალხის გონების დასახშობათ. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ვებრძოლოთ ამ ორგანიზაციას იმდენათ, რამდენათ იგი დალახავს დემოკრატიულ პრინციპებს, და აი, სწორედ ამ საკითხში ჩვენი გარკვეული პოზიცია უნდა გვეჭიროს, სავსებით გარკვეული უნდა იყოს ჩვენსა და ახლათ აღდგენილ ქართულ საეკლესიო ორგანიზაციას შორის დამოკიდებულება. სიტყვის დასასრულ ორატორი კითხულობს შემდეგ რეზოლიუციას: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მიაჩნია რა საზოგადოებრივ მნიშვნელობის დიდ ფაქტათ, ქალაქის საბჭო აღიარებს მის დადებით მხარეებს 1) სინოდის გამარუსებელ ბიუროკრატიის ოპეკისაგან ქართველ მორწმუნეთა განთავისუფლებაში და 2) საეკლესიო მმართველობის დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობაში. სცნობს რა, რომ ეს მოპოება შედეგია დემოკრატიის რევოლიუციონურ ბრძოლისა რუსეთის განსათავისუფლებათ ყოველგვარ უსამართლობისაგან, ცხოვრების რომელ დარგშიაც არ უნდა არსებობდეს იგი, ქალაქის საბჭოს თავის პოლიტიკურ და მორალურ მოვალეობათ მიაჩნია განაცხადოს, რომ იგი ეცდება ეკლესიის საკითხში განახორციელოს დემოკრატიის ძირითადი მოთხოვნილება, სახელდობ, ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან სავსებით გამოყოფა. ამ მიზნით ქალაქის საბჭო სასტიკ ბრძოლას გამოუცხადებს ავტოკეფალიის ორგანიზაციას წინააღმდეგ, როგორც ნაციონალურ-პოლიტიკურ დაწესებულებისა, რომელიც შეკავშირებულია სახელმწიფო ძალა უფლებასთან და ეყრდნობა მას. მიაჩნია რა სინდისის უფლება ადამიანის ხელშეუხებელ უფლებათ, ქალაქის საბჭო ენერგიულათ აღუდგება წინ ეკლესიის მმართველობის ცდას, გამოიყენოს მორწმუნე მასსის რელიგიოზური გრძნობები და მოთხოვნილებანი მისი პოლიტიკურ და სულიერ დამონებისათვის“.

ამ. ლომთათიძე მოითხოვს ამ საკითხის გარჩევას, ვინაიდან მას პოლიტიკური ხასიათი აქვს და საბჭოს არ შეუძლია გვერდი აუაროს მას. **გ. ვეშაპელი** (ერ.-დ.) წინააღმდეგია ამ საკითხის საბჭოში გარჩევის. ავტოკეფალია ეს-ესაა აღდგა და დღესვე ამ საკითხის გამოტანა აქ, ინტერნაციონალურ დაწესებულებაში, უხერხულია. ეს ორგანიზაცია ქართველ ხალხის ნების გამოხატულებაა, იგი ეხება მხოლოდ ქართველებს და მისი აქ წამოყენება შეუძლებელია, ეს ქართველი ხალხის გრძნობის შეურაცხყოფა იქნებოდა. გ. ვეშაპელს უპასუხებს თავმჯდომარე ამხ. **ევგენი გეგეჭკორი.** ამ საკითხის აქ წამოყენება არავითარი შეურაცხყოფა არაა ქართველი ხალხისთვის, თორემ მე, როგორც თავმჯდომარე, ამას არ დავუშვებდი. საბჭო მარტო მუნიციპალური კი არა, პოლიტიკური დაწესებულებაცაა. ინტერნაციონალურ დაწესებულებაში ეკლესიის საკითხის გარჩევა არ შეიძლება,—ამას ამბობენ სახ. დუმაში მემარჯვენეები. მე, რომელმაც უნდა დავიცვა შეურაცხყოფისაგან ცალკე პიროვნებაც კი, ცხადია, ერის შეურაცხყოფის ნებას არავის მივცემ, მაგრამ, როგორც ქართველი, ქართული ეკლესიის საკითხის აქ წამოყენებაში მე არავითარ შეურაცხყოფას არ ვხედავ. **ბერბეროვი** (კ.-დ.). ვინაიდან ფრაქციებს თავისი აზრი არა აქვთ ამ საკითხის შესახებ წინასწარ გამომუშავებული, დღეს არ შეიძლება მისი განხილვა. **ოგანჯანოვი** (დაშნ.). არავითარი ცნობები არა გვაქვს საეკლესიო ორგანიზაციის მიერ დემოკრატიულ პრინციპების დარღვევის შესახებ, ამიტომ არც შეგვიძლია ამ საკითხის დღეს განხილვა. **ერაძე** (ს. დ.) მოითხოვს საკითხის დღესვე გარჩევას. **არუტიუნოვი** (სომეხთა სახალხო პარ.). არსებითად ნუ გავარჩევთ საკითხს და მივესალმოთ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. **ფ. მახარაძე** (ბოლშ.) წინააღმდეგია ამ საკითხის საბჭოში გარჩევის იმ მოსაზრებით, რომ იგი სრულიადაც არ არის ამის ღირსი. ავტოკეფალიის აღდგენას ჩვენ ვერ მივესალმებით, სომხებსაც კი აქვთ დამოუკიდებელი ეკლესია, მაგრამ სომხის ხალხისთვის ზარალის მეტი მას არაფერი მოაქვს. **გ. ნათაძე** (ს.-რ.) საეკლესიო საკითხი—მეტად საჭირო საკითხია; მისი აქ განხილვა უხერხულია. გადაწყდა ამ საკითხის საბჭოში განხილვა, მაგრამ ამხ. ალ. ლომთათიძის წინადადებით, ვინაიდან ცოტა დრო დარჩა, იგი გადაიდო შემდეგ სხდომისათვის. ამის შემდეგ მოხდა არჩევნები კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის დელეგატებისა. აირჩიეს გ. ეპშტეინი (ს. დ), თარხნოვი (ს.-რ.) და ათაბეგოვი (ბოლშ.). საბჭომ დაადგინა დაკმაყოფილებულ იქნას სამხედრო სამსახურში გაწვეულ თვითმართველობის მოსამსახურეთა მოთხოვნილება დანაკლის ჯამაგირების მიცემის შესახებ. გამგეობის მიერ წარმოდგენილი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა სალიკვიდაციო კომისიის დებულებათა პროექტი საბჭომ მიიღო და სარედაქციოთ გადასცა იურიდიულ კომისიას. მიღებულ იქნა აგრეთვე ბინის საკითხის გადასაჭრელათ მომრიგებელ კამერების დაარსების პროექტი. საბჭომ მიიღო აგრეთვე გამგეობის წინადადება გადიდებულ იქნას დაბალ მილიციონერების ჯამაგირი 150 მანეთამდე თვეში; საშუალო მილიციონერების—175 მ. და მილიციის დაბალ მოსამსახურეთა 60—100 მ. **ბერბეროვი** (კ. დ.) წინააღმდეგი იყო ამ წინადადებისა, მილიციონერები არ არიან ღირსი 100 მანეთზე მეტი მიეცათ თვეში ჯამაგირათ.

ვ. ნიველარი.

სოც.-დემ. პარტიაში.

მანგლისი.

თავისუფლების პირველ დღიდანვე აქ შესდგა პატარა წრე რ. ს. დ. მ. პარტიისა. მოწინავე პირებათ ითვლებოდენ ზოგიერთი ჯარისკაცები და ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც 1905 წელში ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჩვენ მიზნათ გვქონდა დასახული ჯარისკაცების და გლეხების შეკავშირება ს.-დ. პარტიის დროშის ქვეშ. დაუღალავათ სოფლებში და ვუხსნიდით ხალხს საჭირო კითხვებს, ვეწეოდით დახმარებას კომიტეტების მოწყობაში და ვამზადებდით ნიადაგს პარტიულ ორგანიზაციებისთვის. პირველათ საქმე კარგათ მიდიოდა, წევრები თანდათან ემატებოდენ, მაგრამ როდესაც ბევრი მომზადებული ამხანაგები გაგზავნეს ფრონტზე, საქმე შეფერხდა. ესერებმა ნიადაგი მოიპოვეს ჯარში თავიანთი წარმტაცი ლოზუნგით: „მიწა და თავისუფლება“. ისინი ესდეკებს მიწასთან ასწორებდენ. თავის პარტიას კი აქებდენ. მსმენელების უმრავლესობას არც კი ეგონა შეიძლებოდა თუ არა გაკრიტიკება ესერების ორატორებისა. მაგრამ ბედმა გაგვიღიმა, ჩამოვიდა აქ თფილისის მაზრის ორგანიზაციების მომწყობი სტუდენტი ვლადიმერ კაკაბაძე, რომელმაც გაიგო თუ არა ჩვენი წრის არსებობა, მაშინვე შეუდგა ენერგიულ მუშაობას. ყოველ დღე იკრიბებოდენ იმის ოთახში ჯარისკაცები და გლეხები. ის უხსნიდა მათ ჩვენს პროგრამას, მართავდა მიტინგებს სოფლებში და მასთან აწესრიგებდა ათასნაირ არა პარტიულ კითხვებს, რომლების უყურადღებობა არეულ-დარევას გამოიწვევდა ხალხში.

შემდეგ გვეწვივნენ ამხ. [illegible] ცერცვაძე, რომლებმაც წაიკითხეს ლექციები სხვადასხვა კითხვებზე. მათმა ლექციებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე და შემოემატა ბევრი წევრები. კაკაბაძის რჩევით [illegible] წევრების არჩევა. 27 აგვისტოსთვის ჩვენმა პარტიამ დაგზავნა ორატორები სოფლებში, სადაც გამართეს მიტინგები და აუხსნეს ხალხს მნიშვნელობა დიდებულ დღისა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, შეიკრიბა ათასამდე კაცი სოფლელნი ჩვენს ბიუროს ეზოში. შეუერთდენ ჯარისკაცებიც. წარმოითქვა ბევრი მგრძნობიარე სიტყვები და შემდეგ დაიწყო მწყობრათ, რევოლიუციონურ სიმღერებით. საღამოს ხალხი დაიშალა ძლიერ კმაყოფილი.

ჩვენმა პარტიამ სამ სექტემბერს მოაწყო წარმოდგენა, სცენობა, მიტინგები, ლატარია, ცოცხალი სურათი და სხვა. ინიციატორი იყო ამხ. ოფიცერი პავლე კარიბოვი. დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა მანგლისი სამ სექტემბერს. პირველ საათიდან დაიწყო მიტინგები რუსულ და ქართულ ენებზე. წარმოითქვა სიტყვები. ამ დღეს შემოსავალი იყო ცხრაასი მანეთი. გამოვიწერეთ გაზეთები, წიგნაკები, კითხულობენ სისტემატიურ ლექციებს, გავხსენით სამკითხველო და ვავრცელებთ ჩვენს ლიტერატურას. საუბედუროთ, მოგვაკლდა კარგი ამხანაგები. ამხ. ლადო კაკაბაძე, არტემ აჯამამულოვი თფილისში წავიდნენ. პავლე კარიბოვი იყო დროებით მოსული, გერმანიის ფრონტიდან და ამ დღეებში მიდის. ჩვენი პარტია ისევ რჩება თითქმის ობლათ.

ნოე ნიკ. ტუღუში.

თფილისი.

5 სექტემბერს მოხდა რ. ს.-დ. მ. პ. მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ წევრების კრება. კრებამ აირჩია მცირე კოლექტივში შემდეგი პირები: ალიხანოვი (თავმჯდ.), თალაკვაძე (თავმჯდ. ამხანაგი), ათოევი (მდივანი), პაპიშვილი (ხაზინადარი), ფირფიუკიანცი, ტერელაძე, კახიძე, ბურძგლა და კოპლამაზიშვილი. კოლექტივმა დაადგინა მოაწყოს პარტიის წევრებისათვის და თანამგრძნობთათვის სკოლები და საღამოს კურსები. ამის შესახებ ცნობებს იძლევა მცირე კოლექტივის ბიურო, რომელიც ღიაა ყოველ დღე საღამოს 7—9 საათამდე.

მუშათა შორის.

„ბრძოლა“ და მისი სიტყვა პასუხი.

„ბრძოლის“ მე-15 ნომერში ერთ წერილში, რომელსაც სათაურათ აქვს—მ. ცხაკაია თუ შახატუნი, მენშევიკების ფრაქციას იხსენიებენ ქუჩური სიტყვებით და აძაგებენ ყველა მენშევიკებს კახპა ქალებს. ასეთი გამოსვლა, ასეთი წერა „ბრძოლის“ მწერლებს კარგათ ახასიათებს, მაგრამ ამას არ სჯერდებიან და მიმართავენ მოწოდებით ამხანაგ მუშებს, იქონიონ მსჯელობა მენშევიკებზედ და თავიანთი აზრი გამოსთქვან. მართლაც რომ ყველა შეგნებული მუშის პირდაპირი მოვალეობაა შეადგინოს იქონიოს მსჯელობა არა თუ მენშევიკებზედ, არამედ—ბოლშევიკ დემაგოგებზედ, რომელთაც სხვა სიტყვებთან ერთად ლიტერატურული ენაც კი დაუკარგავთ სადღაც.

ამიტომაც ვრაცხ ჩემს თავს მოვალეთ პროტესტი განვუცხადო ბოლშევიკების ასეთი გამოსვლის წინააღმდეგ. ვთხოვ ამხანაგ მუშებს ყურადღება მიაქციონ და აღიმაღლონ ხმა.

გაუმარჯოს ჩვენს ბელადს ნოე ჟორდანიას!

სარიყამიში. პატარა ხამონა.

თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნო. როდესაც ბოლშევიკებს უწოდებენ უდისციპლინო ხალხს, მათ ეს ძლიერ სწყინთ და ერთ ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე,—როგორ ბედავთ ჩვენზე ასეთ ცილისწამებასო; ჩვენ ვიცავთ ნამდვილ პარტიულ დისციპლინასო და სხვა. თქვენ კი, მენშევიკები ნამდვილი დეზორგანიზატორები ხართო. სწორედ ამაზედ არის ნათქვამი: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. მაშ, რა არის თუ არა უდისციპლინობა 16 სექტემბრის საქციელი მთავარი სახელოსნოს ბოლშევიკებისა? ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა იქონია რა მხედველობაში, რომ რკინის გზის სახელოსნოში ხშირი მიტინგები იწვევს წარმოების შეჩერებას და ეს კი ცუდ გავლენას ახდენს მთელს რკინის გზის მოძრაობაზე, დაადგინა: არავითარი მიტინგი არ გაიმართოს, თუკეთუ ის არ იქნება ადგილობრივ კომიტეტის მიერ ნება დართული. მიტინგის გამართვა შეიძლება თუ მას საზოგადო ხასიათი აქვს და ადგილობრივი კომიტეტი საჭიროთ დაინახავს. ამ დადგენილებას ამხ. ბოლშევიკები ორივე ხელებს უწევდენ. ამის შემდეგ მე ამხ. ქ. გვარჯალაძე მოვიწვიე, თანამედროვე მომენტზედ მოხსენება გაეკეთებინა, მაგრამ, მივიღეთ რა მხედველობაში დადგენილება,—უარი უთხარით და მიტინგიც არ მოვიწვიეთ, მიუხედავათ იმისა, რომ ამხ. ქ. გვარჯალაძე მოვიდა დანიშნულ დროზე. დღეს კი, როდესაც ბოლშევიკებმა მოინდომეს მიტინგის გამართვა ადგილობრივი კომიტეტის დაუკითხავად და მოწოდება გამოაკრეს, რომ ე. ქავთარაძე მიტინგზედ გააკეთებს მოხსენებასო, რასაკვირველია, ადგილობრივმა კომიტეტმა გაიმეორა ისევ ძველი დადგენილება, არავითარი მიტინგი ადგილობრივი კომიტეტის ნება დაურთველად არ არის დასაშვებიო. ამ განცხადებამ მეტად ააღელვა ამხ. ბოლშევიკები, დიდი ობსტრუქცია მოახდინეს ადგილობრივ კომიტეტის წინააღმდეგ, რაც ტალახი და ლაფი მოიპოვებოდა დედამიწის ზურგზედ ყველა მენშევი-

ქუზს გადაასხეს თავზე ჩვეულებრივათ. იქამდინაც კი მივიდა მათი გაბრაზება, უქეთ რომ ვსთქვათ, გამხეცება, რომ ზევრმა აშკარათ მიმართა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს ასეთი სიტყვებით: „თქვენ ხართ ნიკოლოზ მეორის წესების გამამაგრებელი და დამცველი და ამიტომაც გებრძვით კიდეც, როგორც მუშათა ინტერესების მოღალატეებსო". აი რაში გამოიხატება მათი დისციპლინა, როგორი შემაპინძლდებიან თავიანთ ყვერებში მომუშავე ამხანაგებს. ამ ინციდენტის შემდეგ განა შეიძლება ვინმეს ეთქვას, რომ ბალშევიკებს სურთ შეერთებული მუშაობა? მე ვიტყვი—არა და არა! ერთად მუშაობა ყოვლად შეუძლებელია! ნათქვამია—„კუზიანს სამარე გაასწორებსო". ასეთივე მოახდინეს წარმომადგენლებს კომიტეტს, რომ მას უარი ეყო თავისი დადგენილება, დამორჩილებოდა ერთ ჯგუფს და ნება დაერთო მიტინგის გამართვისა.

მაგრამ ამაზედ თავმჯდომარემ უარი უთხრა. ის ასეც უნდა მოქცეულიყო, ვინაიდან დადგენილება შეეხებოდა მთელ კომიტეტს და არავითარი უფლება არ ჰქონდა მარტო თავმჯდომარეს მიეღო თითქმის ერთხმად მიღებული რეზოლიუცია: ბალშევიკები ჩვეულებრივათ არ დაემორჩილენ კომიტეტს, ის ბლიარეს როგორც მენშევიკური კომიტეტი, მონათლეს მუშების ინტერესების მოღალატეთ და გამართეს მიტინგი. მე აქ მეტს არაფერს ვიტყვი. მე ნდევ მათი მოქმედების დაფასება ამხანაგ მკითხველებისათვის.

ქ. მაჭარაძე.

ქალაქთა კავშირის უმთავრესი თფილისის სახელოსნო.

ამ წლის თებერვლის 18-ში დავდექი ამ სახელოსნოში სამუშაოთ, ცხრა აპრილს სოფელ მცხეთაში წავედი, როგორც აქ დროებით მცხოვრები. საზოგადოების ყრილობა ჰქონდა კომიტეტის ასარჩევათ, მეც ამომირჩიეს კომიტეტის წევრათ, რაზედაც მე უარი განვაცხადე სამსახურის გამო. საზოგადოებამ დეპეშა გაუგზავნა კანტორას და სთხოვა ჩემი დროებით განთავისუფლება. მას შემდეგ დავრჩი სოფელში და დავიწყე კომიტეტში მუშაობა. შემდეგ მე თვითონ ჩამოვედი თფილისში, შევიარე ჯერ ჩვენს სახელოსნოში და ვუთხარი ჩემს ამხანაგებს ჩემი კომიტეტში ამორჩევის ამბავი, შემდეგ კანტორაში ვინახულე ინჟინრის თანაშემწე ბ-ნი არხიპოვი და ამასაც ავუხსენი საქმის ვითარება. ამისაგანაც ნებართვა მივიღე. ამის შემდეგ დავიწყე კომიტეტში მუშაობა და ვმუშაობდი მთელი სამი თვე, რასაკვირველია, უფასოთ. როცა ვეღარ შევძელ უფასოთ შრომა, იძულებული გავხდი დავბრუნებოდი ისევ ჩემს სამუშაოს. მაგრამ მუშებმა საზოგადო კრებაზე გადასწყვიტეს არ მიმიღონ და როცა შევეკითხე—რატომ მეუბნებით უარს მეთქი, ასე მიპასუხეს—რათ წახვედიო. მე ჩემის ნებით არ წავსულვარ სახელოსნოდან, არაფერი ისეთი არ დამიშავებია, რომ კანტორას ან მუშებს დავეთხოვე, მე ამომირჩია საზოგადოებამ საზოგადო საქმეზე, რასაც ვემსახურე ამდენ ხანს უფასოთ. ვინც ამოგირჩია და გაგგზავნა, იმათ მოგცენ ადგილიო, მიპასუხეს. აი შეგნებული მუშების პასუხი, რომლებსაც ყოველთვის ენაზე საზოგადო საქმე აკერიათ.

მას აქეთ დავდივარ, ვთხოულობ ჩემს ადგილს ეს ოთხ ნახევარია და გადაჭრილი პასუხი ვერ მივიღე.—ხან მპირდებიან პირველი კანდიდატი შენ იქნებიო, თითქოს პირველად ვსთხოვდე ადგილს და აქ ნამუშევარი არ ვიყო, ხან რა მიზეზს წარმოიდგენენ და ხან რას. ჩემს უსახსრობას კი ეს არ შველის...

გ. ზ. დეკანოზიშვილი.

კახეთის რკინის გზაზე.

კახეთის რკ. გზის ცენტრალურმა კომიტეტმა, თანახმად ლიანდაგის მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნისა, გადასწყვიტა მოიწვიოს ამ დღეებში დელეგატთა საზოგადო ყრილობა; თვითეულ ათ კაცზე უნდა იქმნეს არჩეული ერთი დელეგატი.

ასეთი გადაწყვეტილება არ მოეწონა სამმართველოს სწორეთ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც თავიდანვე კრიჭაში უდგიან ც. კომიტეტს და რომელთაც დემოკრატიული პრინციპები არაფრად არა სწამთ. დღეს ესენი წითელ მოსამსახურეთ გვევლინებიან და ლენტის კომიტეტის დადგენილებას,—რომ ათ კაცზე ერთი დელეგატი იქმნეს არჩეული—იწუნებენ, ეს დემოკრატიული არ არისო.

გადაჭრით ვაცხადებ, რომ ამას ისინი სჩადიან მხოლოდ იმიტომ, რომ არვის უნდათ შეუერთდნენ მუშა-მოსამსახურეთა შორის და სახელი გაუტეხონ ცენ. კომიტეტს.

როგორც ვიცით, ყოველი რევოლიუციონური ორგანო, რევოლიუციის გასაღრმავებლად და მის მონაპოვრების შესანარჩუნებლად თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მუშათა შეკავშირებას და მათში სოლიდარობის განმტკიცებას. ასეთი მიზანი დაისახა კახ. რკ. გზის ც. კომიტეტმაც.

მაგრამ მას მტრულად თან დაყვა ერთი ჯგუფი, რომელიც მუდამ ცდილობს ძირი გამოუთხაროს კომიტეტისთვის და მისი მოქმედება ყოველმხრივ შეზღუდოს.

თუ კომიტეტი მუშა-მოსამსახურეთა შეკავშირების საქმეს ემსახურებოდა, სამაგიეროთ, ეს ჯგუფი მათ გათიშვას ცდილობდა.

და აი, ეხლაც სწორეთ ამიტომ მოითხოვს ეს ჯგუფი საზოგადო კრების მოწვევას.

ამ კითხვის გამოსარკვევათ ორჯერ მოხდა სამმართველოს მოსამსახურეთა კრება. პირველათ 11 სექტემბერს და მეორეთ 14 ს. მეორე კრებას დაესწრო 42 კაცი. სულ სამმართველოში მსახურობს 90 კაცამდე.

კრების გახსნისთანავე ზოგიერთი უფროსები თავს ვეღარ იკავებდნენ და აშკარათ ილაშქრებდნენ ცენ. კომიტეტის წინააღმდეგ.

ჯერ იყო და ნ. რ. ლეჟავამ მარით მოითხოვა, რომ დელეგატთა ყრილობაზე არადელეგატებსაც მიეცეს გადამწყვეტი ხმის უფლება. როცა ასეთი, აბსურდული მოთხოვნილება არ გავიდა, მოინდომეს ცენ. კომიტეტის დადგენილების გაბათილება დელეგატთა სიგზავნის მოწვევის შესახებ და მოითხოვეს საზოგადო კრების მოწვევა.

რა თქმა უნდა, ეს წინადადება კრებამ უმრავლესობამ მიიღო და დაადგინა, დეპეშით აცნობოს ამის შესახებ მთელ ლიანდაგს და შეეკითხოს: რომელი სურს მას, დელეგატთა ყრილობა, თუ საზოგადო კრება.

რაშია საქმე, რა ამოძრავებს ხსენებულ უფროსებს? მართლა მუშა მოსამსახურეთა ინტერესები, დემოკრატიული პრინციპების დაცვა თუ სხვა რამ? გავსინჯოთ.

როგორც ვთქვით, კახ. რკ. გზის ცენ. კომიტეტის წინააღმდეგ თავიდანვე კომპანია აწყო ერთი ჯგუფი, რომელიც მოკალათებული იყო უმთავრესად სამმართველოში. ბრძოლა მათ შორის ამ უკანასკნელ დროს ძალიან გამწვავდა და მან ფართო ხასიათი მიიღო. ხსენებული ჯგუფი ისე გათამამდა, რომ ის აუმხედრდა სხვათა შორის ყოველგვარ რევოლიუციონურ კომიტეტებს. ეს აშკარად არის აღნიშნული ერთ მათ დეპეშაში.

ამის გამო ცენ. კომიტეტი იძულებული შეიქნა სამსახურიდან დაეთხოვა რამოდენიმე პირი, ხსენებული ჯგუფის სულის ჩამდგმელნი,—ა. ლ. ჯორჯაძე, პ. ს. ხარიტონოვი და ვ. ს. [illegible]

აი ამან დაარღვია მათი მოსვენება, სულიერი წონასწორობა და აღარ იციან რა ქნან. ამათ განიზრახეს აქვთ დელეგატთა ყრილობაზე დაისვან ეს კითხვა და შეეცადონ დათხოვნილთა ინტერესების დაცვას. ხოლო ამისთვის საჭიროა ყრილობაზე რაც შეიძლება მეტი მომხრე გაიყვანონ.

ისინი პირდაპირ უტიფრად დემაგოგიას ეწევიან: ცენ. კომიტეტს უნდა საზოგადო კრების და ამიტომ იწვევს დელეგატთა ყრილობასო. ამით კომიტეტი ართმევს მუშა-მოსამსახურეს ხმის უფლებას არამცერ და სხვა...

„ეს არის, რომ ჩვენ ართმევს ხმას თავისუფალ მოქალაქეს თავისუფალ რუსეთშიო", გაჰკიოდნენ ისინი კრებაზე.

ამას ჩადიან ისინი არა დემოკრატიული პრინციპების დასაცველად, არამედ—შემდეგი მოსაზრებით: ისინი დარწმუნებული არიან, რომ საზოგადო კრებაზე ლიანდაგიდან ყველა მუშა-მოსამსახურე ვერ გამოცხადდება, რადგან გზის დახურვა ხომ არ შეიძლება. ამავე დროს სამმართველოს მოსამსახურეთა, სადაც უმრავლესობა ცენ. კომიტეტის მოწინააღმდეგეა, საშუალება ექნებათ ყველა უკლებლივ დაესწრონ კრებას. ამავე მოსაზრებით მოითხოვენ ისინი, არა დელეგატებსაც მიეცეს გადამწყვეტი ხმის უფლება.

ამ გზით ცდილობენ თავს მოუყარონ თავიანთ მომხრეთ, რომ უფრო ნაყოფიერად ებრძოლონ ცენ. კომიტეტს.

ც. კომიტეტის წევრებმა ყველა მათი უსაფუძვლო ბრალდებები გააბათილეს და მათი მოთხოვნილებების სარჩულიც გამოააშკარავეს, რითაც ცხადად ჰყვეს მათი ცრუ დემოკრატიზმიც.

მეტად შენიშვნა-შემოსულის შემდეგ შეუდგნენ დელეგატთა არჩევნებს, რომ ხვალ იყვნენ, თუ ვინიცობაა საზოგადოთ გადაწყდა დელეგატთა ყრილობის მოწვევა.

ასარჩევი იყო რვა კაცი. აირჩიეს ორი სია, ცენ. კომიტეტის მომხრეთა და მას მოწინააღმდეგეთა.

როგორც მოსალოდნელი იყო—გაიმარჯვა უკანასკნელმა სიამ.

რამდენად კანონიერია ასეთი არჩევნები, ამას შემდეგ ვნახავთ, ხოლო ვერ გავიგეთ, რატომ არის შეტანილი რევოლიუციონერ ორგანოს აშკარა მტერთა სიაში პატივცემული ს. ჯაფარიძე!

ამბობენ, ახაც შეცდომაში შეიყვანესო.

ვლ. ხ—ძე.

ცრუმორწმუნოება სოფლად

(წერილი სამეგრელოდან).

თუ რამდენად ცრუმორწმუნოებაა ხალხში გავრცელებული, ამას საუკეთესოდ დაახასიათებს შემდეგი: ყ. ჩიჩიბაიას ქალიშვილი ნაჯვალეხია (19—20 წლისაა), მასხალ პირველ რიცხვებში ავათ გახდა ყელპირვებით. იგი ნახეს დამდეგს გავრცელდა ხმები, რომ ქალიშვილს დაეწყოთ, წინასწარმეტყველობს მომავალს და „სანქთოზე" იძლევა ხშირი ცნობები. მნახველები, როგორც სჩვევია სოფელს, მეტისმეტად მიაწყდა. ის არაჩვეულებრივი ავადმყოფი ემოკდა: სიცხე აქვს, ბოდავს, ლაპარაკობს, ეხება ზოგიერთ პირთა ურწმუნოებას, რის შედეგათ სოფლის ომს და სხვა უბედურებას, რომელნიც დასასჯელოთ მოუვლენია ღმერთმა ქრისტიანობას. 7 ივლისს ეს „წმინდანი" წირვის დროს ესტუმრა ეკლესიას, დაიწვინეს საყდარში კუბოს დასადგმელ ალაგას.

დაიწყო ავადმყოფმა, რომ ის დაჯდება ლოთიანების ხალხის ცოდვის გამო, ქვეყანა დაუპყრო, ამ სამ დღეში მოისპობა, მაგრამ ის გამოითხოვს ვალს რამდენსამე დღით და ხვალ ხალხი ლოცულობს. 3 საათზე უმრავლესობა წავიდ-წამოვიდა, მაგრამ ხალხმის ხალხი ზარის ხმაზე კვლავ შეიკრიბა. გოგო საკურთხეველში დაეწვინათ საკაცით, რომელიც ქალებით იყო გაჭედილი. ზოგიერთი პირების შენიშვნაზე, რომ საკურთხეველში შესვლა ქალების არ შეიძლებაო, მშობლებმა განაცხადეს: არც ჩვენ გვინდოდა, მაგრამ საკაცე თავისით მიიდგა საკურთხეველის ჩრდილოეთის კარისკენ და რა უნდა გვექნაო. მთავარი მოქმედი პირი ამ მატყუარობაში არის ავადმყოფის ძმა, სოფლის „მასწავლებელი", გერმანე ჩიჩიბაია, რომელიც საზოგადოებას არწმუნებს თავის დას „წმინდანობაზე".

ამ საქმეში ჩაერიეს ზოგიერთი ინტელიგენტი და ურჩიეს, როგორც ავადმყოფს, ისე მშობლებს, სახლში წაეყვანათ; ისინიც დათანხმდნენ, მაგრამ მოითხოვეს 9 ივლისისთვის ეკლესიაში ხალხის შეკრება; როცა ამაზე უარი მიიღო ბ. „მასწავლებელმა", ის ადგა და თვითონ დაუგზავნა ბარათები მახლობელ სოფლების მღვდლებს.

9 ივლისის რიჟრაჟზე ასტეხეს ეკლესიაში ზარების რეკვა. 10 საათზე 700-მდე კაცი და ქალი იყო შეკრებილი ეკლესიის წინ, მანდორაზე, სადაც უმეცარი მღვდლები ვ. და გ. ბოკუჩავები პარაკლისს იხდიდნენ, მხოლოდ „წმინდანი" გოგო შესცქეროდა ირგვლივ დაჩოქილ ხალხს. ხალხი თანდათან მატულობდა. „წმინდანის" ნიშნის მიცემით დაიძრა ხალხი საყდრისაკენ, წინ მიუძღოდნენ სამღვდელო შეიარაღებით, ხატებით და შემოსილი სამღვდელოება შემდგარ ჯგუფით. საყდარში ხმაური შეწყდა და გოგო ისევ საკაცეზე დაწვა ეკლესიის შუა ადგილას. საყდარი გაივსო მლოცველებით, ჩამოვარდა სიჩუმე და ავადმყოფმა იწყო ლაპარაკი-ბოდვა. ეს არ იყო გამოკვეთილი მეცნიერ-რაციონალური კრებით, რაც, მისი თქმით, იმის მიზეზია, რომ ხალხს არ სჯერა და არა სწამს ეშმაკის, რის გამო ის უნდა ჩაწვენილ კუბოში და დასტოვონ ეკლესიაში. ეს გამოცხადება ეთქვა გოგოზე შემოსილთა,—ხალხი ჯვარზე გააკრავდა. აქ გაიმართა შეგნებულ პირთა კამათი თავმჯდომარე, თუ რა ზომები მიეღოთ ხალხს მეტი სიმშვიდის წინააღმდეგ. გაიმართა კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. დ—ძე ჩიჩიბაია, რომელმაც მოუწოდა დამსწრეთ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ხსენებული მოვლენის შესახებ. ს. მაჩულიამ ილაპარაკა მიმდინარე მომენტზე, ცრუმორწმუნოებაზე, ქრისტეს სარწმუნოებაზე და სხვ. მეტად იყო მხურვალე სიტყვის თქმისა, მაგრამ შეუფიქრდნენ, რადგან გრძნობდა, ქალების და კრების უმრავლესობის სიმპატია ავადმყოფისაკენ იყო; კრება თანდათან გაირკა,—ვერ შეურიგდნენ ცოცხალი ადამიანის კუბოში ჩაწვენას და დაადგინეს ერთხმათ, რომ კრება „წმინდანს" სცნობს ავადმყოფ ადამიანათ, წინადადებას აძლევს მშობლებს—განმარტონ ეკლესიის ავადმყოფთათვის და სასწრაფოთ მიმართონ ექიმს.

კრება დაიხურა. დაიძრა 2,000-მდე კაცი და ქალი, ავადმყოფი კი კომისარმა ჩიჩიბაიამ და ი. ჩ—ბ—მ ძალით წაიყვანეს სახლში რამდენიმე პირთა დახმარებით, მაგრამ საქმეს ამითაც არ ეშველა: ქალებმა მაინც არ შეასრულეს სიარული თავიანთი ძველი და ახალი მქადაგებლის ამბის გასაგებათ „წმინდანისაკენ". ვინაიდან აქ „მოქმედების" ნება არ დართო არც ავადმყოფს და არც მშობლებს რაიონის კომისარმა, ავადმყოფი წაიყვანეს ქუთაისში. რამდენიმე დღის შემდეგ შემოთვლეს, რომ ქუთაისში გადაარია გოგომ საწყალებით, დაიწყო ლაპარაკი ყველა ევროპულ ენაზე და სხვ. ქუთათური გაზეთ „ჩვენი ქვეყნის" მე-85 ნომრის ახალ ამბავში ნათქვამი იყო, რომ ქუთაისში იმყოფება 19 წლის ჩიჩიბაიას ქალიშვილი, რომელიც, როგორც მშობლები არწმუნებენ, ხუთი დღე ყოფილა კუბოში, ორი თვე უჭმელ-უსმელი, გარდა მეგრულისა, არც ერთი ენა არ იცოდა, ეხლა ყველა ენებზე ლაპარაკობსო და სხვ. საკვირველის მართლაც! რაღა სჯერდებათ მშობლებს ასეთი აფერისტობა? ქუთაისის ექიმებს უცნობიათ ავადმყოფობა ნერვების ავადმყოფობად. ქუთაისიდან მათუშამ წაიყვანეს და აგვისტოს მეორე რიცხვებში ისევ სოფელში ჩამოიყვანეს: წინანდელი ქცევა თითქოს ხუმრობაა მეცნიერულთან შედარებით, სულ ნახა ნაბა „ფოკუსებს" აკეთებენ: ქ—ლის ძმა—„მასწავლებელი" მნახველებს არწმუნებს, რომ მათუშის ეკლესიაში შეიყვანეს გოგო თუ არა, საკურთხეველში გამოჩნდა ორი შემოსილი ნათელი, ფრთიანი ანგელოზები, გოგოს მკლავი აწია და ჯვარი გამოაჩინდაო.

გოგოს ამ ქამიდ მარჯვენა მკლავი შეხვეული აქვს. ამომწვარი აქვს ხორცი და კანი გადამძვრალია; საკმარისია მაშინვე დახედოს, რომ შეიტყოს გაცხელებული ჯვრით არის ამწვარი ხორცი. მეტმა ნასწავლმა ინახულა ის, მაგრამ არც ერთ ენაზე, გარდა ქართულ-მეგრულისა გოგომ არაფერი არ იცის. ორ-სამ სიტყვას ამბობს რუსულათ, მაგრამ ეს ხომ ენების ცოდნა არ არის.

ჯერ-ჯერობით ამ „წმინდანის" აღმოჩენამ ასეთი ნაყოფი გამოიღო: სოფელში მაგმვანი ისეთი დამინებული არიან, რომ მეზობლისას ვერ გაგზავნით, ხოლო ქალები მეტი გამოისტუმრა ატირებული, რადგან სულიერის და შვილების ამოწყვეტას უწინასწარმეტყველებს, ბევრი მათგანი კოცნიან „წმინდანს", როგორც ხატს და მკვდრების შესახებ ამბობენ სხვადასხვა ამბებს. ეს მოვლენა დამაფიქრებელია, სირცხვილიც კია ამაზე წერა. ხალხის მაგიერ შენ თითონ გრცხვენია, როცა ასეთ ამბავს საქვეყნოთ ამჟღავნებ ადამიანი, მაგრამ რას იზამ, როცა საქმე ფაქტთან გაქვს. რა უნდა მოსთხოვო ამ შემთხვევაში ბნელ ხალხს—სოფლის დედაკაცებს გინდ მამაკაცებს, რომელთაც საკუთარი სოფლიდან ფეხიც არ გადაუდგამთ, მათთვის საკუთარ სოფელში იწყება და თავდება ქვეყნიერება, როცა „ნასწავლი" ხალხი—მასწავლებელი და მღვდლები, ასე იქცევიან. და ეს ხდება მეოცე საუკუნეში!

ძირს ცრუმორწმუნოება!

ძირს ხალხის მატყუარები!

ინდონინშ.

ჯარის-კაცთა წერილები.

თავრიზი. (სპარსეთი). პირველ სექტემბერს მოხდა თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. რაფიელ ჩხაიძე, მდივნათ ამხ. აკაკი ძნელაძე. სანამ დღის წესრიგი გამოიმუშავებოდა, ამხ. რაფ. ჩხაიძემ ვრცლად ილაპარაკა საზოგადოთ რევოლიუციაზე, აღნიშნა, თუ როგორ უმზადდება ნიადაგი თვით ცხოვრების მიერ რევოლიუციას და რამდენათ ის აუცილებელ შედეგს წარმოადგენს ცხოვრების წინმსვლელობისას. შემდეგ შეეხო კერძოთ რუსეთის რევოლიუციას და მის გამოწვევის მიზეზებს; ილაპარაკა რუსეთის რევოლიუციის გაღრმავების გაფართოებაზე, მოუწოდებდა თანდათან უკან დახევაზე და მოელის ხალხის კონტრ-რევოლიუციის მხარეზე გადახვევაზე, რომელიც გამოიხატა კორნილოვის გამოსვლაში; დაბოლოს შეეხო, თუ საერთოდ მხედრობამ რა როლი უნდა ითამაშოს და კერძოთ ქართველმა ჯარისკაცმა როგორი რევოლიუციონური აღზრდა უნდა მიიღოს, რომ რევოლიუციის მიერ წამოყენებულ ყველა კითხვას შესაფერი შეგნებული მოქმედებით შეხვდეს.

აქ არსებობს ქართველ მხედართა წრე შემდეგის სახელწოდებით: „თავრიზის გარნიზონის ქართველ მხედართა კულტურულ-განმანათლებელი წრე". ამ წრის სამოქმედო პროგრამა ჩვენს გაზეთში უკვე იყო ამის წინეთ დაბეჭდილი და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ. წრის ხელმძღვანელათ არჩეულ იქნა 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. თავმჯდომარეთ რაფიელ ჩხაიძე, მდივნათ აკაკი ძნელაძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ვასო მელაძე, მდივნის ამხანაგათ შ. შალამბერიძე და ხაზინადართ—შ. ჩხაიძე. ჯარისკაცნი ძლიერ ნასიამოვნები დარჩნენ. გადაწყდა ყოველ პარასკევობით თავის მოყრა და საუბრის გამართვა; კიდევაც შემდეგ პარასკევს გაიმართა კრება, სადაც ჯარისკაცთა მეტმა რიცხვმა მოიყარა თავი. ამას გარდა, დაესწრო მრავალი აქ მყოფნი სხვადასხვა დაწესებულებების მოსამსახურე პირები ქართველები. ამხ. რ. ჩხაიძემ კვლავ გააცნო ერთი კვირის ცვლილება რუსეთის ცხოვრებისა. მან სთქვა, რომ კონტრ-რევოლიუციონერები კორნილოვიანები დატყვევებულნი არიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა კორნილოვები არ გამოჩნდებიან. ის ფენები, რომელნიზედაც კორნილოვი ამყარებდა, კვლავ ძალაში რჩებიან, ისინი კვლავ წამოყოფენ თავს და დაესხმებიან, თუ ფხიზლად არ შეხვდებით. შემდეგ კრებას გააცნო, რომ იწვევენ მხოლოდ რევოლიუციონერი დემოკრატიის წარმომადგენლებს, რომლებიც რევოლიუციას უნდა ეკუთვნოდნენ და ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე მიიყვანონ. აღნიშნა აგრეთვე აქტი რესპუბლიკის გამოცხადებისა, მისი მნიშვნელობა და სხვა. ასე რომ, ამხანაგ ჯარისკაცებს ეძლევა საშუალება დაახლოვებით წარმოიდგინონ იქაური რუსეთის მდგომარეობა. სპარსეთის გამოსახსნელათ დაარიგა შეწირულების ფურცლები, რომელმაც სამი ათას მანეთამდე ჯერ-ჯერობით მოგვცა. არჩეულ იქნა კონცერტის მომწყობი კომისია ჯარისკაცთა და მოსამსახურე მოქალაქეთა შორის. საკვირველი არ იქნება მისი, გაზეთები გამოიწერონ. დიდი აუცილებლობა გამოიწვია აქაური დაწესებულებებში მყოფ ქართველებში წრის დაარსებამ, რომელთაც საკმაო ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს წრეს. ერთი სიტყვით, წრემ მოკლე დროის განმავლობაშიაც საგრძნობი სარგებლობა მოიტანა ჯარში და იმედი გვაქვს, რომ არჩეული პირები სასურველად წაიყვანენ საქმეს.

ჯარის კაცი მელქისედეკ ჩხაიძე.

—

ძ. ხონის კარა. 10 სექტემბერს სოფლის დარბაზში ამხ. ხოკოლოვმა წაიკითხა ლექცია, შემდეგ თემაზე: ისტორია რ. ს. დ. მ. პარტიისა. ხალხი მდიდრად დაესწრო და გულდასმითაც უსმენდა. ლექცია მშვენივრად ჩატარდა. დამსწრეთ ლექტორი შეეხო და საუბრებათაც დაესწრათ 1905 წლის გმირთა ხსოვნისათვის და მათი თავდადებისათვის [illegible] ლექციის შემდეგ [illegible] რეს.

ჯარისკაცი მ. [illegible]

თეატრი და ხელოვნება

სახალხო სახლი.

17 სექტემბერს სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მმართ. წრემ ხელახლა გახსნა. დადგა „მაღაროს უფროსი მუშა" და „რაც განახეს ვეღარ ნახეს". პირველ ნაწილში ცოცხლად სურათთან გიდგება წინ მუშათა ცხოვრების სიდუხჭირე. მაყურებელს თვალზე ცრემლები ადგება, როცა [illegible] მაღაროს უფროსი მუშა მიხეილ (ი. მიხელაშვილი) [illegible] უფროსის პოლიციამის (ა. მეტრეველი), რომ მუშათა შეაჩერეს რადგან წყალი მატულობს და [illegible] მაღაროში [illegible], ის მუშა, რომელიც მსხვერპლათ შეეწირა გრძნობა-მკვდარ, დაუნდობელ უფროსის კარიერისტობას. წარმოდგენის მეორე ნაწილიც კარგად ჩატარდა. საზოგადოება ოვაციებით შეხვდა ნ. გოცირიძის გამოსვლას. მასში ის ხედავს სულის მეგობარს, რომელსაც ძალუძს მოსწრაფთა დანაოჭებულ სახეზე ხელახლა [illegible] ღიმილს გამოიწვიოს. წარმოდგენებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა და საზოგადოებამაც დიდი ნასიამოვნები დაიშალა.

გედეონი.

ცნობები

ჯარის-კაცთა ძიებანი.

თფილისის მცხოვრები მაშა კონტემ ძე კურბატოვი [illegible] 24 კაცისიის მარიამპოლის პოლკში. [illegible] ვინც ხაზამ მის შესახებ არაფერი გაიგოთ და ვინიცობაა ვინც მის შესახებ რამე იცის, შემატყობინოს შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Бѣлинская 16. Павлу Курбатову.

— პრაპორშჩიკი ივანე კონსტანტინეს ძე [illegible], პირველი მესაზღვრო ქ. [illegible] 277 [illegible] ქვეითა პოლკში, 11 როტაში. [illegible] გადაიყვანეს რუმინეთის ფრონტზე და მის შემდეგ არაფერი გაგვიგია. ვსთხოვთ ამხანაგებს თუ რამე იციან მის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ, Редакція „Эртоба", Головинскій пр. 12 Раждену Жгенти.

— ჯარის კაცი [illegible] (ედავე [illegible]შვილი), რამდენიმე ხანს [illegible] პირველ სალაზარეთოში [illegible] ქალაქში (ბაქო). [illegible] თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Хони, кут. губ. Алекс. Сагарешвили для В. Х.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულად	10	კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულად	10	„
3. ს. დ. პროგრამა სომხურად	10	„
4. ს. დ. პროგრამა თათრულად	10	„
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5	„
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5	„
7. ძირს სოც. დემ. ბრაკეზი რუს.	20	„
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმმართველობა რუსულად	20	„
9. [illegible] წიგნაკი ქართულად	20	„
10. ოთხი ძმა ქართულად	35	„
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20	„
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25	„
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25	„
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25	„
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	20	„
16. კრიტიკა აგრარული პროგრამისა პ. მასლოვისა, რუს. ენაზე ფასი	15	„
17. უწყება, მე-6 საოლქო თავყრილობისა (კონფერენციისა) რ. ს.-დ. მ. პ. ქართ. ენაზე ფასი	25	„
18. იგივე უწყება რუსულ ენაზე ფასი	20	„
19. დროებითი წესები ქალაქის ხაბ. ხმოს. არჩევნებისა ქართ. ფასი	10	„
20. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუს.	20	„
21. რა უფრო მიწას პ. მასლოვისა, რუს.		
22. საფრანგეთის რევოლიუცია 1848 წ. ნ. ჟორდანიასი ფასი	65	„

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. ერფურტის პროგრამა კ. კაუცკისა.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის 1 მანეთი. გაზეთის ფასი ხელის მომწერმა წინდაწინ უნდა გადაიხადოს, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაზე" [illegible] ქუჩა, № 6.

ამ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შეატყობინონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.